# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 მაისი 2003 №87 (1858) ფასი 50 თეთრი




# იუვენტუსმა ვარსკვლავები მოწყვიტა

## დეზდემონამ ოტელო დაახრჩო






REUTERS ტურინიდან




ბადრი კეთილაძის ფოტო

# კანონი შრო

გუშინ პოლიციამ მისთვის ჩვეული უფლებათა გადამეტების გზითა და ხერხებით ტოტალიზატორ „კროკოს" ბიუროები ფაქტობრივად დაარბია, მატერიალურად და მორალურად აზარალა ფირმაც და მისი კლიენტებიც

# კმარა შევარდნა

ხვალ, 16 მაისს „კროკოს" ხელმძღვანელები გამართავენ პრესკონფერენციას. ჟურნალისტები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე. პრესკონფერენციის დრო და ადგილი დაზუსტდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

*იუვენტუსი* 3:1 რეალი (1:2)

1:0 ტრეზეგე (12), 2:0 დელ პიერო (43), 3:0 ნედვედი (73), 3:1 ზიდანი (89)

*ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (67, მეკარე)*

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ტუდორი, მონტერო, ბირინდელი (პესოტო 60), ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი (კონტე 89), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (კამორანეზი 77)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფ. კონსეისაო (რონალდო 52), გუტი, კამბიასო (მაკმანამანი 76), ფიგუ, ზიდანი, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კონსეისაო, მონტერო, სალგადო, ტაკინარდი, იერო, ნედვედი, ფიგუ
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
67 299 მაყურებელი

ფინალი. 28 მაისი
მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი"
## მილანი — იუვენტუსი



რონალდოს ამ გარღვევას პენალტი მოჰყვა



REUTERS ტურინიდან

პაველ ნედვედს ურს მაიერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალი არ დაანება



REUTERS ტურინიდან

პაველ ნედვედის მართლაც საოცარი გოლი

# რეალი საკუთარმა სიმძიმემ გასრისა

თუ გახსოვთ, პირველი მატჩის მერე „რეალის" ფეხბურთელები ერთხმად გაიძახოდნენ, ის ერთი გოლი რომ არ გაგვეშვა, უფრო დარწმუნებულები ვიქნებოდით ჩვენს ფინალში გასვლაშიო. ამასაც ამბობდნენ, სადაც გინდათ და ვისთანაც გინდათ, გავიტანთ ერთ ბურთს მაინცო.

ტურინში ნასასვლელად საგანგებოდაც მოემზადნენ. ვისენტე დელ ბოსკემ პრიმერადივიზიონის ტურში სათადარიგოები ათამაშა, ფიგუს, ზიდანს და რონალდოს ჯანზე მოსვლის საშუალება მისცა და ლიდერობაც დათმო.

მაგრამ რად გინდა, მწვრთნელზე მართლები ის ფეხბურთელები გამოდგნენ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაშვებული გოლი რომ აფიქრებდათ.

დიახ, მადრიდელებმა თითქოს ყველაფერი გათვალეს, შინ გაშვებული გოლიც და სტუმრად გატანას რომ შეძლებდნენ ისიც. მხოლოდ ერთ რამეში შეცდნენ, „დელე ალპიზე" სამს თუ გაუშვებდნენ, არაფრით ეგონათ.

ახლა შეგვიძლია ლაპარაკი, პირველ ტაიმში გუტის უალრესად ხელსაყრელი პოზიციიდან რომ გაეტანა, ან ფიგუს რონალდოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი რომ არ გაეფუჭებინა, ან რაულს ბოლო წუთზე შეტევა უკეთ რომ დაესრულებინა, ვნახავდით, ვინც გავიდოდა ფინალშიო, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს ფუჭი ლაპარაკია. ნახდენილს რაღა გამოასწორებს და ეგეც რომ არა, „იუვენტუსის" მომენტებიც გავიხსენოთ.

კარგა ხნის წინ ვთქვით, „რეალს" ვინმე თუ შეაჩერებს, მხოლოდ „იუვენტუსიო" და ეგრე ყველაფერი აგიხდეთ. გუშინ ტურინელებმა სწორი ფეხბურთი ითამაშეს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ რიგში ლიპიმ აჯობა დელ ბოსკეს და მერე „იუვეს" ფეხბურთელებმა რეალელებს.

ესპანელთა დაცვა ბევრს მიჰქარავდა, იტალიელთა გოლები კი ყველანაირი გემოვნებისა იყო. მათგან საუკეთესო კი პაველ ნედვედისა გამოდგა, თანაც „იუვენტუსი" სწორედ ამ გოლის წყალობით მიდის მანჩესტერში, ოღონდ მეგოლე ჩეხი კი ველარ წაადგება.

ნამატჩევს ნედვედმა ალალად გამოიგლოვა თავისი დისკვალიფიკაცია, უფრო კი იმიტომ, რომ სისულელით აიკიდა. აბა, სამით ნოლზე ვინ რჯიდა, მსაჯს თავი რომ გააყვითლებინა.

წინ კი ფინალია, წმინდა იტალიური ფინალი.



REUTERS ტურინიდან

„რეალის" კარში პირველი გოლი დავიდ ტრეზეგემ შეაგდო

## პოლონეთი

თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

პლოცკი 0:3 *ვისლა* (1:0)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

რედინგი 0:1 *ვულვერჰემპტონი* (1:2)

მეორე დივიზიონი
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

*ქუინზ პარკი* 1:0 ოლდჰემი (1:1)

მესამე დივიზიონი
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

სკანთორპი 0:1 *ლინკოლნი* (3:5)

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXVII ტური

სელტიკი 6:2 დანდი

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
ფინალური ტურნირი

ნახევარფინალი

*ესპანეთი* 5:2 ავსტრია

*პორტუგალია* 2:2დ.დ. (პენ.3:2, 2:2) ინგლისი




ალწერაა, უთხრეს ხალხს




პოლიციის მიერ ოკუპირებული „კროკოს" ბიურო

# კანონი ურო კმარა შევარდნა

გუშინ პოლიცია ლტოლვილების საცხოვრებელ ერთ შენობას მიადგა და ქალები და ბავშვები იქიდან ხელკეტების რტყმით გამოყარა. შავრაზმელთაგან შეშინებული რამდენიმე ქალი ფანჯრიდანაც კი გადმოხტა და მოტეხილობებით საავადმყოფოში მოხვდა. ნორმალური ადამიანი ამან უნდა ალაშფოთოს, თუმცა არ უნდა გაუკვირდეს, რადგან ეს ქართველი ძალოვანების მუშაობის სტილია და სხვა სტილით მუშაობა მათ უბრალოდ არ იციან.

გუშინვე ძალოვანები ტოტალიზატორ „კროკოს" ბიუროებში შეცვივდნენ და, ღვთის მადლით, ცემით არავინ უცემიათ, მაგრამ ზოგან იქაურობა მიანგრ-მოანგრიეს.

ძალოვანების „კროკოში" შეჭრის ამბავი რომ შევიტყვეთ, ყველაფრის საკუთარი თვალით სანახავად მის რამდენიმე ბიუროში მივედით. „სარბიელის" რედაქციასთან ყველაზე ახლოს მეტრო „გოცირიძესთან" მდებარე ფილიალია, სადაც ასეთი სურათი დაგვხვდა: ძალოვანებს უროები მოეტანათ და ბიუროს კედელს ამტვრევდნენ — იმ კედელს, რომელიც საერთო დარბაზს პერსონალის ოთახისგან ჰყოფს და რომლის მიღმა მხოლოდ შეშინებული თანამშრომელი ქალები იმყოფებოდნენ. მოგვიანებით ერთ-ერთი ძალოვანი ტელევიზიით ურცხვად ცრუობდა, არც ძალა გამოგვიყენებია და არც რამე დაგვიზიანებიაო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

შეჭრის მიზეზად სამართალდამცავებს ის მოაქვთ, „კროკო" ულიცენზიოდ მუშაობს, თანაც უცხოურ ვალუტაზეო და ჩხრეკის ნებართვისთვის მოსამართლისთვის მიუმართავთ. მოსამართლემაც სანქციას ხელი მოაწერა.

როგორ და რანაირად მუშაობს „კროკო", ეს არც უროთია გასარჩევი და არც შეჭრა-შევარდნადანიოკებით. ამის თაობაზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოში კარგად ცნობილი, ლამის ტოტალიზატორის სინონიმად ქცეული „კროკო" მრავალი წელია მუშაობს და, აბა, ულიცენზიოდ აქამდე ან როგორ მოატანდა, ან ვინ ამუშავებდა.

ჩვენ კი პოლიციის მეთოდებს ერთხელაც მივუბრუნდეთ.

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მატჩი იყო, „იუვენტუსი" — „რეალი" და, ცხადია, ტოტალიზატორებს, მათ შორის „კროკოს", უამრავი მოთამაშე ჰყავდა.

ჰოდა, როგორია: ზის კაცი ტოტალიზატორში და ბილეთს ავსებს. ამ დროს იჭრებიან ძალოვანები კარგად ნაცნობი ხელკეტებით, ზოგი კი იარაღითაც, მოთამაშეებს გარეთ აგდებენ და ეუბნებიან, ალწერააო.

თვითმხილველთა ნაამბობით, ეს სცენა კინოთეატრ „რუსთაველის" უკან მდებარე „კროკოში" გათამაშდა. კარის და ვიტრინების მტვრევა იქაც იყო. ხოლო დაცვის თანამშრომელმა გვითხრა, ისე შემოიჭრნენ, საბუთიც არ უჩვენებიათო.

სხვაგან პოლიციელმა ჟურნალისტები გაყარა, დროზე მოუსვით აქედანო.

კი, ზოგ ბიუროში, მაგალითად, სასტუმრო „აჭარას" უკან, უფრო თავაზიანი პოლიციელები დაგვხვდნენ, მაგრამ ეს თავაზიანობის იშვიათი შემთხვევა იყო, მთლიანობაში კი ის ხდებოდა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

საბოლოოდ კი რა გამოდის: „კროკო" წესიერად მუშაობს თუ უწესოდ, გუშინ, ჩემპიონთა ლიგის დღეს, კლიენტები დაკარგა, ანუ პოლიციამ თავისი უფლებების გადამეტებით, მხოლოდ და მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, ორგანიზაცია ფინანსურად და მორალურადაც აზარალა.



პოლიციელთა „თავაზიანი" ვიზიტით შეშინებული „კროკოს" ერთ-ერთი ბიუროს თანამშრომელი ქალები




ხალხისგან გაცლილ მაგიდებთან პოლიციელები ჩამოსხდნენ



# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

## ინტერი 1:1 მილანი (0:0)

მილანი. „სან სირო“. 85 700 მაყურებელი. მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

0:1 შევჩენკო (45), 1:1 მარტინსი (83)

გაფრთხილება: ინძაგი, გატუზო, დი ბიაჯო, რუი კოშტა, კალაძე

| | |
|---|---|
| ტოლდო, კორდობა, მატერაცი, კანავარო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (დალმა 46), ს. კონსეისაუ, კ. ძანეტი, ემრე, კრესპო (კალონი 71), რეკობა (მარტინსი 46)<br>მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი | აბიატი, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ბროკი 89), ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 64), შევჩენკო, ინძაგი (სერჟინიო 80)<br>მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი |



ანდრეი შევჩენკომ გოლი ვალერი ლობანოვსკის ხსოვნას მიუძღვნა

# სან სირო: ბედისწერა და ბედის ირონია

## გალიანიმ ინტერის ჩამშვები არ ჩაუშვა

მოგვიტევეთ, თუ მილანური დერბის მიმოხილვას ბევრჯერ მოსმენილი ისტორიის ერთხელაც გამეორებით დავიწყებთ.

„მილანი“ 1898 წელს დაარსდა, „ინტერი“ ათი წლის შემდეგ. „მილანს“ იმ დროისთვის უკვე მოეგო სამი სკუდეტო, ხოლო „ინტერი“ დაარსებას ისევ „მილანს“ უნდა უმადლოდეს.

ასე იყო: „მილანის“ 43 წევრი ფრიად აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ კლუბმა შემადგენლობაში უცხოელების გარეშე თამაში გადაწყვიტა. იმდენად აღაშფოთა, რომ „მილანიდან“ წასვლა და ახალი კლუბის დაარსება გადაწყვიტა. ჰოდა, დააარსეს კიდეც და პრინციპების ერთგულების გამო „ინტერნაციონალი“ დაარქვეს.

სხვათა შორის, რიცხვი 43 მაშინვე დასწყევლეს „მილანში“. მერე კი ლამის მისტიკური ამბავი მოხდა. „ინტერის“ დაარსებიდან „მილანის“ მეოთხე სკუდეტომდე... 43 წელი გავიდა. ამ პერიოდში კი „ინტერმა“ ხუთი სკუდეტოს მოგება მოასწრო.

და რა კავშირი აქვს ამ ისტორიას „ინტერისა“ და „მილანის“ საჩემპიონთათასო დერბისთან? პირდაპირი, რადგან 1908 წელს დაწყებული კონფლიქტი დღემდე გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ თავის დროზე „მილანი“ მუშურ გუნდად ითვლებოდა, „ინტერს“ კი უფრო ქალაქის ბურჟუაზია უჭერდა მხარს. ამიტომაც იყო, რომ „მილანის“ გულშემატკივრებს „ატვიორტკებს“ ეძახდნენ, ხოლო „ინტერისას“ — „კუდაბზიკებს“. ამ 95 წელიწადში მილანური დერბების რაოდენობამ 255-ს უწია და გულშემატკივართა შორის მკაფიო სოციალური დაყოფაც მოიშალა, თუმც ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება ძველებური დარჩა.

წინა უქმეებზე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ თქვა, „ინტერში“ ერთი კაცი მეგულება, რომლის მოვალეობაც „მილანისთვის“ თვალთვალი და თუ რამ წესრიგში არ არის, უეფაში ჩაშვება არისო. გალიანის ამ განცხადებას „ინტერთან“ საპასუხო ზალპი მოჰყვა. ექტორ კუპერს ვითომ შემთხვევით წამოსცდა, კრისტიან ვიერი, რომლის გარეშეც „ინტერი“ „ინტერი“ არ არის, თამაშისთვის მზად არისო. კლუბის მოთხოვნით, ვიერიმ ჟურნალისტების თანდასწრებით, „მილანის“ შესაშინებლად, საჩვენებელი ვარჯიშიც მოაწყო.

საბოლოოდ, ვიერიმ მაინც ვერ ითამაშა, ხოლო გალიანიმ ეგრეც არ გაამხილა ჩამშვების ვინაობა. სამაგიეროდ ამგვარი „დაბომბვებით“ მატჩისწინა ატმოსფერომ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ინტრიგის ცეცხლს ნავთი „მილანის“ პრეზიდენტმა და იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმაც დაასხა. კირკიტა ჟურნალისტებმა პირველი მატჩის შესვენებისას შენიშნეს, რომ ბერლუსკონიმ გალიანი და მეორე მწვრთნელი მაურო ტასოტი ცალკე ოთახში გაიხმო, საიდანაც პრემიერის ღრიალი ისმოდა, მარჯვენა მცველი კოსტაკურტა მარცხენა ნახევარმცველი სერჟინიოთი შეცვალეთო. იმ პირველი მატჩის მერე სულაც არნახული რამ მოხდა: ბერლუსკონიმ, ცხოვრებაში პირველად, კომენტარზე უარი თქვა. ჰოდა, საპასუხო მატჩში „მილანს“ რა უფლება ჰქონდა, მთავრობის მეთაურისთვის სულიერი წონასწორობა შეერყია.

უკან დასახევი გზა არც „ინტერს“ ჰქონდა: თოთხმეტი წელი უსკუდეტოდ, დამცირებითა და დაცინვით, უაზროდ დახარჯული ზღვა ფული — ყველაფერი ეს ერთი ხელის მოსმით უნდა დაევიწყებინა.

დაპირებებიც იყო: ანდრეი შევჩენკომ თქვა, „ინტერს“ ვალერი ლობანოვსკის ხსოვნის პატივსაცემად უნდა გავუტანოო, ერნან კრესპომ კი დაიმუქრა, თუნდაც ერთი შანსი მომეცით და გაჩვენებთ, ვინც ვარო.

კრესპოს შანსი 22-ე წუთზე მიეცა. „ინტერის“ სწრაფი იერიშისას არგენტინელი ძალიან კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ „ვინც იყო“ ვერ გვაჩვენა — ხეირიანად დარტყმის მაგიერ ბურთს წაელაქუცა. ნერვიულობის გამო მოუვიდა? ალბათ, თუმც მხოლოდ კრესპო როდი ნერვიულობდა. პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ მოიგებდა ის, ვინც უფრო სწრაფად ირბენდა და უფრო გაბოროტებული იბრძოლებდა.

მაგრამ ლამაზი ფეხბურთი? მაპატიეთ და, არც ბერლუსკონი, არც გალიანი, არც ანჩელოტი, არც კუპერი და არც არავინ, ხალხს ლამაზ ფეხბურთს არ დაპირებია. ამიტომაც მატჩისას, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ფეხბურთელები ბურთზე მეტად ერთმანეთს ფეხებში ურტყამდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანგმა არბიტრმა ჟილ ვესიემ მიზნად დაისახა, წუთში ერთი ყვითელი ბარათი აეფრიალებინა და პირველი ტაიმის მიწურულს ასე ოთხჯერ მოიქცა.

და როცა 45 წუთი მიიწურა, მეოთხე მსაჯმა მინი-ტაბლოზე 2 აციმციმა, ამ ორი წუთიდან კი ნახევარი გავიდა, ანდრეი შევჩენკომ გმირობა რომ ჩაიდინა.

იერიში კლარენს ზეედორფის პასით დაიწყო, ალბათ, ერთადერთი მართლა მწვავე პასით პირველ ტაიმში. შევჩენკო ივან კორდობას გაექცა, კორდობამ ფეხში ჩასცხო, შევჩენკო წაიქცა, მის შესახვედრად უკვე გამოვარდნილიყო ფრანჩესკო ტოლდო და როცა ფორვარდთა უმრავლესობა პენალტის მოლოდინში ფეხზე ხელს მოიკიდებდა და სახეს დამანჭავდა, უკრაინელმა ბურთს ფეხი წაჰკრა და... ვალერი ლობანოვსკი კმაყოფილი დარჩებოდა.

ერთადერთი გოლი სამ ტაიმში, მაგრამ როგორ ააფეთქა სიტუაცია ამ გოლმა, „ინტერს“ ერთადერთი უპირატესობა ჰქონდა — 60 ათასი „კუდაბზიკა“ 20 ათასი „ატვიორტკის“ წინააღმდეგ და ეს უპირატესობაც მის წინააღმდეგ შეტრიალდა, ახლა კუპერის გუნდს ორი გოლის გატანა სჭირდებოდა. მაგრამ რის ხარჯზე? ამას გამძლეობისა და ნერვების უსაზღვრო მარაგი სჭირდებოდა, რაც გაოგნებულ „ინტერს“ არ აღმოაჩნდა. „მილანმა“ კი ფინალის საამო სურნელი იყნოსა და ნერვებისა და კუნთების ერთ დიდ, ძლიერ გროვად იქცა.

შესვენების მერეც კარგა ხანს, უაზრო სირბილისა და უხეშობის გარდა არაფერი ხდებოდა. მარკო მატერაციმ ერთხელ ისე ამოარტყა შევჩენკოს, მაყურებელმა ქალებმა ვინძლო სინანულით ამოიოხრეს, კაცებმა კი თავად იგრძნეს ტკივილი.

ბოლო წუთები კი ალოგიკური გამოდგა. იმ თვალსაზრისით, რომ „ინტერმა“ 80-წუთიან უაზრო სირბილს თავი ანება და „მილანს“ ნაღდი შტურმი მოუწყო. შეცვლაზე შესულმა 18 წლის ნიგერიელმა ობაფემი მარტინსმა გოლიც გაიტანა, როცა გვარიანად დაღლილ მალდინისა და კოსტაკურტას გაექცა. ბოლოს კი მოჰამედ კალონმა გააფუჭა ლამის ასპროცენტიანი შანსი — კახა კალაძისგან რიკოშეტით ბურთი კარისკენ წავიდა და კრისტიან აბიატიმ „მილანი“ იხსნა.

თამაში დამთავრდა, ორმატჩიანი დუელიც. ორივეში ფრე. ფინალში გავიდა ის, ვინც მეტოქის მოედანზე მოახერხა მეტი გოლის გატანა და ბედის ირონიაც ესაა: საზიარო „სან სიროზე“ სტუმარ-მასპინძლობა ხომ პირობითი იყო.

ნამატჩევს კი, ნუ გაიკვირვებთ და, კარლო ანჩელოტიმ თქვა, ძალიან გაბრაზებული ვარო. ცხადია, მიზეზს იკითხავთ. მიზეზის ძიებაში თავად მწვრთნელს მივუსმინოთ: „თამაშამდე გაზეთებში ერთი ამბავი იყო ატეხილი. წერდნენ, ამ მატჩის შემდეგ კუპერი ან ანჩელოტი პოსტს დაემშვიდობებაო. მსგავსი არაფერი ყოფილა, ჩემთვის არავის უთქვამს, ფინალში თუ ვერ გახვალ, მოგხსნიო. არც იმას ვფიქრობ, რომ კუპერი უნდა დაისაჯოს. მან „ინტერი“ ევროპის ოთხ საუკეთესო კლუბს შორის გაიყვანა, მაშინ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ბაიერნის“ მწვრთნელები და ფეხბურთელები ლიგის ნახევარფინალს ტელევიზორში უყურებდნენ“.

თავად კუპერმა კი განაცხადა: „ჩემს მომავალზე ვერაფერს მოგახსენებთ, რაკი ეს საკითხი კლუბის უფროსობის გადასაწყვეტია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თავად „ინტერიდან“ წასვლა არ მსურს და საერთოდაც, ფინალისტის ვინაობა ფაქტობრივად კენჭისყრით გადაწყდა, ფინალში გავიდა ის, ვისაც პირველ მატჩში მასპინძლის სახელი ერქვა“.

რაღა დავამატოთ, კახა კალაძე პირველი ქართველი გახდა, ვინც ჩემპიონთა თასის (ლიგის) ფინალში ითამაშებს, აი, კლარენს ზეედორფს კი შანსი აქვს სამ სხვადასხვა კლუბში გახდეს ევროპის საკლუბო ჩემპიონი. ლიგა მას „აიაქსსა“ და „რეალში“ თამაშისას უკვე მოუგია.

**გიორგი დარჯანია**





REUTERS

ნამატჩევს კრისტიან ვიერის არაფერი ეთქმოდა, სილვიო ბერლუსკონის პირიქით



REUTERS

ფილიპო ინძაგის და ივან კორდობას ფეხებს ფრანჩესკო ტოლდომ მუშტი შეაგება



კლარენს ზეედორფი

ეროვნულ ბიბლიოთ

# ბოროტი და უჭკუო ჭკუის დამრიგებლები




ჯერმენ დეფო

**ტრევორ ბრუკინგმა** „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ქომაგებს ახალგაზრდა ჯერმენ დეფოს მიმართ თავშეკავება სთხოვა. პრემიერლიგიდან გავარდნილ „ჩაქუჩითა" მოქმედმა შეფმა თქვა, რომ დეფო შეცდა. წარუმატებლობის მეორე დღესვე არ უნდა მოეთხოვა სხვაგან გადასვლის უფლება, მაგრამ მას ჩაძირული ხომალდიდან გაქცეული ვირთხაც არ უნდა უწოდონ:

„ჯერმენი ხარბი ადამიანი არ გახლავთ. ის არც უგულო კაცია, რის დახატვასაც ასე ცდილობდნენ ბოლო 24 საათის განმავლობაში. გასაგებია, რომ მისმა განცხადებამ ბუნებრივი გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ მოდით, შანსი მივცეთ. მსურს ქომაგებს ვთხოვო, მომხდარის მიუხედავად დეფოს დაუმსახურებელ რისხვას ნუ დაატეხენ თავს. ყველაფერზე მეტად დღეს ჯერმენის დაცვა მწადია. იგი დიდებული ბიჭია, რომელიც სეზონის განმავლობაში გუნდისთვის იხარჯებოდა. ჩვენ მისთვის მადლობის გადახდა და მისი გუნდში დატოვება გვსურს, იმავდროულად კი ვგრძნობთ, რომ მრჩევლებმა შეაცდინეს. ტრანსფერზე უარი ვუთხარით, რადგან პრემიერლიგაში დაბრუნებას ვაპირებთ და ამისთვის თავდამსხმელი გვჭირდება. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ჯობს ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად წავიდეს სათამაშოდ და თუ გზაში სადმე „ვესტ ჰემის" ქომაგს გადაეყრება, ვიმედოვნებ, ის ქომაგი მას გაამხნევებს. ვიმეორებ, ყველაფერი დეფოს მრჩევლების ბრალია. 20 წლის ბავშვს, გუნდის უმნიშვნელოვანესი მატჩის მეორე დღეს სისულელეებს რომ ათქმევინებ, წინასწარ უნდა ხვდებოდე, რა შარში ხვევ. ამ ხალხზე სასტიკად ვარ გაბრაზებული".

„ვესტ ჰემის" დირექტორი პოლ ოლდირიჯიც დაეთანხმა ბრუკინგს და რისხვა დეფოს აგენტებს დაატეხა.

„ვადასტურებ, ტრანსფერის თხოვნაზე უარი ვუთხარით — ბრძანა მან — ხოლო დეფოს და მის ოჯახთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. ამ ბიჭს უბრალოდ არ გაუმართლა, რადგან ცუდმა ადამიანებმა ცუდ დროს ცუდი რჩევა მისცეს. ამასთან ერთად ჩვენ ქომაგებს ვაფრთხილებ, რომ ამ ფეხბურთელს მოთმინებით მოექცნენ. ჩვენ ნიჭიერი შემადგენლობის შენარჩუნება გვსურს, რათა დაუყოვნებლივ დავბრუნდეთ პრემიერლიგაში".

**პაატუნა ძიდია**

# ტეილორი ბირმინგემიდან უფულობას გაექცა




**ინგლისის ნაკრების** ყოფილი მწვრთნელი გრეჰ ტეილორი გუშინ „ასტონ ვილას" მენეჯერობიდან გადადგა. ის ადრეც, 1987-90 წლებშიც ედგა სათავეში ბირმინგემულ კლუბს, მეორედ კი პოსტი შარშან თებერვალში ჩაიბარა, ჯონ გრეგორის წასვლის მერე.

ტეილორის გადაწყვეტილება მოულოდნელი ყოფილა და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ასტონ ვილა" პრემიერლიგაში მე-16 ადგილს დასჯერდა, ანუ გასავარდნ ზონას ოდენ ორი საფეხურით ასცდა.

წასვლის მიზეზი ტეილორმა ასე ახსნა, შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულს არ მაძლევდნენ და გადაწყვეტილებაც ამ ფაქტორმა მიმაღებინაო.

ფულის გახსენებაზე: ბოლო ექვს თვეში „ასტონ ვილამ" რვა მილიონი გირვანქა იზარალა.

კლუბის ოფიციალურ განცხადებაში კი ვკითხულობთ: „თავმჯდომარე დაგ ელისი უაღრესად შეწუხებულია ტეილორის გადაწყვეტილებით." რა გითხრათ, ეგებ მართლაც შეწუხებული იყოს, თუმცა მენეჯერი მაინც გაკენწლა, ბოლო შვიდ სეზონში პირველად მოხდა, გუნდმა ცხრილის ქვედა ნაწილში რომ დაიბუდაო.

ახლა „ასტონ ვილა" ახალი მენეჯერის ძებნაშია, თუმც რაკი სეზონი დამთავრდა, არ ჩქარობს. ივნისამდე ნებისმიერ სპეციალისტს შეუძლია კლუბისთვის საკუთარი თავის შეთავაზება. ივნისში კი მათი გაცხრილვა დაიწყება.

Copa Toyota Libertadores '2003

| ლიბერტადორესის თასი 2003 |
| --- |
| 1/8 ფინალი. 1 მატჩი საპასუხო მატჩები |
| რასინგი (არგენტინა) 0:0 (პენ. 5:6) ამერიკა დე კალი (კოლუმბია) (1:1) |
| დეპორტივო კალი (კოლუმბია) 0:0 (პენ. 2:3) კრუზ ასული (მექსიკა) (0:0) |




ფრედი ლიუნგბერგი ფინალების მეგოლეა



დევიდ სიმენი

# ასოციაციის თასის ასოციაციები

*შაბათს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალია და ამ მატჩით ფეხბურთის სამშობლოში სეზონი დასრულდება. ფინალისტთა ვინაობაც მოგეხსენებათ, „არსენალი" და „საუთჰემპტონი", რომელთა ფინალისწინა განწყობასა და შემადგენლობებზე უშუალოდ მატჩის დღეს მოგახსენებთ, დღეს კი ინგლისის თასის ისტორიიდან ზოგიერთი საინტერესო ფაქტი გავიხსენოთ. ის ფაქტები, რომლებიც წლევანდელ ფინალისტებთან რაიმე კავშირში არიან.*

— „არსენალი" მეთექვსმეტედ გავიდა ასოციაციის თასის ფინალში, რითაც ახალი რეკორდი დაამყარა. აქამდე 15-15 ფინალით „არსენალთან" რეკორდს „მანჩესტერ იუნაიტედი" იყოფდა. წინა 15 ფინალიდან კი „მეთოფეებმა" რვა მოიგეს და შვიდჯერ დამარცხდნენ. მოგებული ფინალების რაოდენობით „არსენალი" ჩამორჩება „მანჩესტერს", რომელსაც ასოციაციის თასი ათჯერ მოუგია. „არსენალის" მსგავსად თასი რვაჯერ მოუგია მეორე ლონდონურ კლუბს, „ტოტენჰემ ჰოტსპურს".

— საპირისპიროდ, „საუთჰემპტონისთვის" შაბათის ფინალი მხოლოდ მეოთხეა. ამათგან ორი, უშორეს 1900 და 1902 წლებში, გუნდმა წააგო და მხოლოდ 1976 წელს დაესაკუთრა პირველად თასს, როცა „უემბლიზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" 1:0 მოუგო. სხვათა შორის, მაშინ „საუთჰემპტონი" მეორე დივიზიონში თამაშობდა.

— „ტოტენჰემმა" 1981 და 82 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიგო ინგლისის თასი და მას მერე იგივე შედეგის გამეორება ვერავინ შეძლო. ახლა ამის შანსი „არსენალს" აქვს, ვინც თასის ახლანდელი მფლობელია. აქვე დავძინოთ, რომ რაც ფინალები კარდიფის „მილენიუმზე" ტარდება, ეს კი მესამე წელია ხდება, „არსენალი" მისი უცვლელი მონაწილეა. 2001 წელს, პირველ კარდიფულ ფინალში „ლივერპულთან" დამარცხდა.

— „არსენალი" სხვა დროსაც გასულა თასის ფინალში ზედიზედ სამჯერ. ეს ამბავი 1977, 79 და 80 წლებში მოხდა. მაშინ „მეთოფეებმა" ჯერ „იფსვიჩ თაუნთან" წააგეს, მერე „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხეს, ბოლოს კი „ვესტ ჰემთან", თბილისის „დინამოს" მომავალ მეტოქესთან დამარცხდნენ. ეს კი, აი, რატომ გავიხსენეთ: „არსენალი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც სხვადასხვა დროს, ორჯერ, სამ-სამჯერ მიყოლებით უთამაშია თასის ფინალში.

— ლონდონელ ფრედი ლიუნგბერგს შანსი აქვს, პირველი ფეხბურთელი შეიქნას, ვისაც ზედიზედ სამ ფინალში გოლი გაუტანია. ზედიზედ არა, მაგრამ სხვადასხვა წლების ფინალებში სამი გოლი იან რაშსაც აქვს გატანილი. 1990 წლის ფინალში, „კრისტალ პალასში" თამაშისას, მან „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუტანა, სამი წლის მერე, უკვე „არსენალში" თამაშისას — „შეფილდ უენსდეის". ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა და გადათამაშებაში, ანუ მესამე ფინალში რაშმა ისევ გაიტანა.

— „არსენალის" მენეჯერი არსენ ვენგერი ის კაცია, ვისაც ასოციაციის თასის ორჯერ უკვე მოუგია. მან ეს 1998 და 2002 წლებში შეძლო.

— „საუთჰემპტონის" მენეჯერი გორდონ სტრაჩანი შესაძლოა მეთოთხმეტე გახდეს, ვისაც თასი ფეხბურთელობისასაც და მწვრთნელობის დროსაც მოუგია. ბოლო ასეთი კაცი ჯორჯ გრემი იყო, რომელმაც ფეხბურთელობისას 1971 წელს მოიგო თასი, მენეჯერობისას კი 1993 წელს. ორივე შემთხვევაში ის არსენალელი იყო. გორდონ სტრაჩანი კი „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშისას გახდა თასის მფლობელი, როცა 1985 წლის ფინალში მისმა გუნდმა „ევერტონს" მოუგო.

— შაბათს „არსენალის" მეკარე დევიდ სიმენი 39 წლისა და 232 დღისა იქნება. ოდესმე თასის ფინალის მონაწილეთაგან სულ ორი ფეხბურთელი ყოფილა მასზე ხნიერი. უხნოვანესი მეკარე ნიუკასლელი ბილი ჰემპსონია, ვინაც 1924 წლის ფინალში 41 წლის და 257 დღისა იყო. 1946 წელს „ჩარლტონში" თამაშობდა ჯონ ოუკსი, რომელიც თასის ფინალის დღეს 40 წლის და 226 დღის იყო. საინტერესოდ, დევიდ სიმენი უხნოვანესია ფინალისტ მეკარეთა შორის. ძველი რეკორდი დიდ „ტოტენჰემელ" რეი კლემენს ეპყრა, რომელიც 1987 წლის ფინალის დროს 38 წლის და 295 დღისა იყო.

— 1976 წელს, როცა „საუთჰემპტონმა" თასი მოიგო, იქ პიტერ ოზგუდი თამაშობდა. ოზგუდი ბოლო ფეხბურთელია, ვინაც თასის ყველა ეტაპზე გოლი გაიტანა.

— „არსენალი" და „საუთჰემპტონი" აქამდე მხოლოდ ორჯერ გადაეყრნენ ერთმანეთს სათასოდ. პირველად 1917 წლის ნახევარფინალში, რომელიც ლონდონელებმა 2:1 მოიგეს, მეორედ კი 1979 წელს. მაშინ მეოთხე რაუნდში გუნდებმა 1:1 ითამაშეს, გადათამაშებაში კი ისევ „არსენალმა" იმარჯვა — 2:0.

**გიორგი დარჯანია**



არსენ ვენგერი



პიტერ ოზგუდი



გორდონ სტრაჩანი



იოკოჰამაში ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონობას დაუჩოქა

# სასწაულები

## ციდან ბურთი ჩამოვარდა

იოკოჰამა. 2002 წლის 30 ივნისი. პიერლუიჯი კოლინას სასტვენმა დუნიას მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა ამცნო. ბრაზილია ხუთგზის ჩემპიონია. კი მაგრამ, ედმილსონს რა დაემართა? ნაცვლად იმისა, რომ სიხარულისგან უგზო-უკვლოდ ირბინოს, მუხლისთავებზე დაეცა და შუბლი მიწას მიაბჯინა. დიდამ ედმილსონთან მიირბინა, შეუძლოდ ხომ არ ხარო, მაგრამ შუბლით მიწაზე დამხობილმა ანიშნა, დამტოვე, ყველაფერი რიგზეაო.

ედმილსონს ლუსიო და კაკა შეუამხანაგდნენ. მათი ხელები შეერთდა და რამდენიმე წუთით სამეული გაირინდა. ბრაზილიელი ქომაგების ღრიანცელში ტრიოს სიმშვიდე უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ლოცვის შემდეგ ისინი წამოდგნენ და თავზე მაისურები წამოიფარეს. ედმილსონის შიდა, თეთრ მაისურაზე ეწერა: „იესოს თქვენ უყვარხართ". კაკას მკერდზე კი ამოიკითხავდით: „მე იესოს ვეკუთვნი".

ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს განვლილი ჩემპიონატის მანძილზე ღმერთი მუდამ თან ახლდა. ყოველი მატჩის დაწყების წინ მეკარე მარკოსი კარის ხაზზე ხელებგაშლილი დგებოდა, თვალებს ხუჭავდა და ლოცულობდა. საზოგადოდ მეკარეები ღვთისმოშიში ხალხია. კლაუდიო ტაფარელი დიდად მორწმუნე კაცი იყო, ხოლო მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის ფინალში გოლის გამშვები ბრაზილიელი მეკარე ბარბოსა, მთელი ცხოვრების განმავლობაში იტანჯებოდა.

თუ მეკარე ყოჩაღია, ქომაგები მას მეტსახელს შეარქმევენ, რომელიც რელიგიასთან კავშირშია. მაგალითად, მარკოსს „პალმეირასის" გულშემატკივრებმა წმინდა მარკოსი შეარქვეს. გარდა ამისა, იგი ბრაზილიის სამხრეთში მდებარე ქალაქ სან მარკოსის საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს.

მარკოსი კათოლიკეა, ბრაზილია კი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კათოლიკური ქვეყანაა. სამბას სამშობლოში ძალიან პოპულარულია „სურვილის საფასურის გადახდის" ტრადიცია. თუ კაცმა მიზნის მიღწევის სანაცვლოდ წმინდანს მსხვერპლი აღუთქვა, აუცილებლად უნდა შეასრულოს.

თვით ლუიშ ფელიპე სკოლარი თავის წმინდანს შეჰპირდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ გავალთ, ტაძრამდე 16 კილომეტრს ფეხით გავივლიო. სკოლარიმ სიტყვა არ გატეხა, მუნდიალის საგზურმოპოვებული დილაადრიან ადგა და სახლიდან ტაძრამდე ფეხით იარა. აზიიდან ტრიუმფით დაბრუნებულმა მწვრთნელმა მადლობის ნიშნად იგივე გაიმეორა, მაგრამ გაუჭირდა, რადგან გზად მიმავალი ერთი საათის განმავლობაში ავტოგრაფებს არიგებდა.

ლოცვა რონალდოსაც არ დავიწყებია. სან პაულუში ეკლესიას მსოფლიოს ჩემპიონის რანგში ეწვია და ნაკრების წარმატებით გახარებულმა ილოცა. თუმცა, მწვრთნელისგან განსხვავებით, იგი სალოცავად ვერტმფრენით გაემგზავრა და უკან იგივე ტრანსპორტით დაბრუნდა.

ბრაზილიელი ფეხბურთელები ღმერთის ხელებს ოდითგანვე შეჰყურებდნენ. ამბობენ, თითქოს 1932 წელს, მსოფლიოს პირველ ჩემპიონთან ურუგვაისთან მატჩში, ბრაზილიელი ფორვარდის, ლეონიდას და სილვას ფეხები ყოვლისშემძლეს მოაჯადოვეს. მან ორი გოლი გაიტანა და მისმა ნაკრებმა ის შეხვედრა მოიგო.

ზემოთ თქმული შეიძლება განვიხილოთ, როგორც „მაკუმბას" გამოყენების ცალკეული შემთხვევა. „მაკუმბა" აფრო-ბრაზილიური რელიგიური რიტუალების საერთო სახელწოდებაა. სამბას ქვეყანაში უამრავი აფრიკელი მონა ჩაჰყავდათ, რომლებმაც თავიანთი რელიგიური კულტები კათოლიციზმში შეურიეს. „მაკუმბას" ყველაზე ხშირად ეროვნული ჩემპიონატების მოთამაშენი მიმართავდნენ, რადგან იქ უმეტესწილად აფრო-ბრაზილიური სისხლის ფეხბურთელები თამაშობდნენ.

60-იან წლებში სამხრეთამერიკული პრესა წერდა: „ბრაზილიური კლუბების მასაჟისტთა უმეტესობა შავ მაგიასთანაა შეკრული". მართალია, დღეს შავი მაგიისა და ფეხბურთის მეგობრობის პრეცედენტი თითქმის არ არსებობს, მაგრამ თურმე „ვასკუ და გამას" ჯერაც ჰყავს „მაკუმბას" გამოცდილი ოსტატი.

70-იან წლებში ახალი რელიგიური ფენომენი — ევანგელისტური პროტესტანტიზმი გაჩნდა. მაგალითად, ისეთი სექტა, როგორიცაა „ღვთის სასუფევლის მსოფლიო ეკლესია" მოულოდნელად შეიქმნა და პლანეტაზე უამრავი მიმდევარი გაუჩნდა.

1981 წელს ბრაზილიის ნაკრების მეკარემ, ჟოაუ ლეიტამ სექტა „ქრისტეს ათლეტები" ჩამოაყალიბა, რომელშიც არაერთი პროფესიონალი სპორტსმენი გაერთიანდა.

პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის არსებული შუღლის მიუხედავად, ბრაზილიელებმა ბრაზილიის ერთიანობა იოკოჰამაში, ფინალური მატჩის შემდეგ დაამტკიცეს. ედმილსონს, ლუსიოსა და კაკას მთელი გუნდი ჩინოვნიკებიანად შეუერთდა. მოედნის ცენტრში ხელიხელჩაკიდებულნი მუხლებზე დაეცნენ და ლოცვას მოჰყვნენ. უცრად წამოწვიმა, არადა, საოცარია — ბრაზილიელთა შვიდივე მატჩმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ისე ჩაიარა, რომ ციდან წვეთი არ ჩამოვარდნილა. პელეს სამშობლოში კათოლიკები ამბობენ: „ღმერთი ბრაზილიელია".

ახლა ისიც ვნახოთ, ვის რა და როგორ სწამს.

### ჯერალდ ასამოა

კვლავ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. კოლინას სასტვენამდე თხუთმეტი წუთი დარჩა. რუდი ფიოლერმა მოედანზე ჯერალდ ასამოა შეუშვა. ასამოამ გერმანიას ვერ უშველა, მაგრამ მატჩის შემდეგ თავი ლოცვით დაიმშვიდა.

ბუნდესნაკრების პირველი შავკანიანი ფეხბურთელი 25 წლისაა. იგი განაში, მამპონგში დაიბადა, 12 წლისამ ოჯახთან ერთად სამშობლო დატოვა და გერმანიაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით გადაიხვეწა. ახალ გარემოსთან შეგუება, ცხადია, გაუჭირდა ყმაწვილკაცს, თუმცა მისმა ბიძაშვილმა სამი აბუმ ჯერალდი ფეხბურთზე მიიყვანა და პატარა ბიჭმაც მნახველები გააოცა. მისი პირველი პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ჰანოვერი" იყო.

1998 წლის 27 სექტემბერს „ზანკტ პაულთან" მატჩში ჯერალდ ასამოა შეცვალეს.

„როგორც კი შემცვალეს — იგონებს ფეხბურთელი — მუცლის არეში ტკივილი ვიგრძენი. გული მერეოდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ მატჩამდე საკვები დამაკლდა-მეთქი და თანაგუნდელებთან ერთად შეხვედრის შემდეგ გვარიანად მოვილხინე. მოგვიანებით, ორიოდ დღეში, გუნდის ექიმმა თხემით ტერფამდე გამსინჯა და საშინელი ამბავი გამცნო — გულის მანკი. მანვე მითხრა, რომ ფეხბურთს ვეღარასოდეს ვითამაშებდი. ჩემთვის ცხოვრება დამთავრდა. ჩემი მომავალი შავი ფერით შეიღება, არადა, მხოლოდ ოცი წლის ვიყავი და სიცოცხლე მიხაროდა".

ამ ამბით ჯერალდ ასამოას უბედურება არ დასრულებულა. სულ მალე მისი ბიძაშვილი სამი აბუ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

„რამდენიმე დღის განმავლობაში შოკიდან ვერ გამოვდიოდი — თქვა ასამოამ — ცრემლი და დარდი მახრჩობდა, მაგრამ ჩემთან იყო ღმერთი, რომელმაც ეს ტანჯვა გადამატანინა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ გაჭირვების ჟამს ღმერთისთვის უნდა მიმემართა და კიდეც მივმართე. გერმანიიდან ამერიკაში, ვაშინგტონში გავემგზავრე და იქაურმა ექიმებმა გამსინჯეს. ბიბლია ჩემთვის ერთადერთი მეგობარი გახდა, ჩემი ოჯახის წევრები კი დღედაღამ ლოცულობდნენ. ექიმის მისაღებ ოთახში ვიჯექი და მეც ვლოცულობდი. მთავარი ქირურგი გაბადრული სახით გამოვიდა და ყურებს არ დავუჯერე. მან მითხრა, რომ ფეხბურთის თამაში კვლავაც შემეძლო, ოღონდ გარკვეული რისკის ფასად. იმედი ადამიანთან ერთად კვდება. მხოლოდ მაშინ, ვაშინგტონში მივხვდი, რას მეუბნებოდა ჩემი მოძღვარი განაში. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ნებისმიერ დროს, გაჭირვებაში აუცილებლად დამეხმარება. გერმანიაში დავბრუნდი და ყველაფერი თავიდან დავიწყე"

### კარლოს როა

1998-99 წლების სეზონში „მალიორკაში" გატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ მან კლუბს კარიერის დასრულების შესახებ მოულოდნელად ამცნო. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ როა „მეშვიდე დღის ადვენტისტების" სექტის წევრი იყო. ამ სექტის წევრთა რწმენით, სამყაროს დასასრული 1999 წლის 31 დეკემბერს უნდა დამდგარიყო, ჰოდა, არგენტინელმა მეკარემ „მალიორკასთან" გაცლა ამჯობინა. ცნობილია, რომ კარლოს როა შაბათობით კარში ჩადგომას უარობდა, სექტა მიკრძალავსო, არადა მას შანსი ჰქონდა, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასულიყო. შაბათობით თამაშზე უარმა მანჩესტერში მის ტრანსფერზე გარკვეულწილად იმოქმედა.

„მეშვიდე დღის ადვენტისტების" გასაოცრად, 1999 წლის 31 დეკემბერს სამყარო ღერძიდან ოდნავაც არ შეტოკებულა. ღრმად მორწმუნე მეკარე 2000-ში „მალიორკაში" მაინც დაბრუნდა. იგი კარიერის მანძილზე ყოველთვის 13-ნომრიან მაისურას ირჩევდა, რაც ასე ახსნა: „პირველი ღმერთია, იესო ქრისტე კი მესამე დღეს აღსდგა".

### ზე რობერტო

„ბაიერნის" ბრაზილიელი ლეგიონერი სან პაულუს ღარიბ უბანში გაიზარდა. მამამ ოჯახი მიატოვა და ზეს ხელი წაუცდა. მაღაზიებიდან ხშირად საჭმელს იპარავდა, მერე ქუჩის ბანდაშიც გაერია. მოგვიანებით მისი მეგობრები ნარკოტიკებს მიეძალნენ, ორი მათგანი კი პოლიციელებმა ჩაცხრილეს.

„დედა ყოველთვის მაიძულებდა, ფეხბურთი მეთამაშა — გაიხსენა ფეხბურთელმა — რადგან ეს უკეთესი იყო, ვიდრე ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალი. ბურთთან ურთიერთობა მხოლოდ პოლიციასთან რამდენჯერმე შეტაკების შემდეგ გადავწყვიტე".

ზე რობერტოს დედამ შვება რელიგიაში ჰპოვა. მან ჯერ იაპონურ სექტას მიაკითხა, მერე კათოლიკეებში გადაინაცვლა და იქ დაისადგურა.

„დედა რელიგიის საოცრებებზე ხშირად გვიყვებოდა — თქვა ზე რობერტომ — გვეუბნებოდა, რომ ღმერთს ვუყვარვართ და ის უნდა ვიწამოთ. შიშობდა, რომ უკაცოდ დარჩენილ ოჯახს ვერ გაუძლებობდა. თანდათან შევამჩნიე, დედის კეთილგანწყობამ და სიმშვიდემ ჩვენზე გადმოინაცვლა. რწმენამ ძალა შეგვმატა და მეც ნელ-ნელა ბიბლიას დავუახლოვდი. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ბიბლია ესოდენ საინტერესო იქნებოდა. მივხვდი, რომ წიგნი უმამობასაც გადამატანინებდა და რწმენასაც დამიბრუნებდა".

ზე რობერტომ მუშაობა დაიწყო და თან ღმერთს ევედრებოდა — ძალა მომეც, რათა დიდი ფეხბურთელი გავხდეო.

16 წლის ყმაწვილკაცმა სან პაულუს „პორტუგეზას" მიაკითხა. ათასზე მეტმა ბავშმა გაიარა მწვრთნელების ხელში, რომელთაგან 25 აირჩიეს და მათ შორის ზე რობერტოც აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ კლუბმა მას კონტრაქტი შესთავაზა. ისევ ზე: „მე ღმერთს მივენდე და ჩემი გზა მოვნახე. ბიბლია რომ არა, ახლა ციხის კარებთან ვიქნებოდი".

პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერის დასაწყისში უბედურება მაინც არ ასცდა. იგი 20 წლის იყო, როცა მისი და მშობიარობისას გარდაიცვალა. „ჩვენ თავს უბედურება დაგვატყდა, მაგრამ მჯეროდა, რომ ღმერთი არ გაგვწირავდა. ბავშვი გადარჩა და ახლა მას დედაჩემი პატრონობს".

ბევრს ალბათ აღარც კი ახსოვს ზე რობერტოს მადრიდის „რეალში" გადასვლა. იგი ნაკრებშიც მიიწვიეს. მერე „სამეფო კლუბმა" ფეხბურთელი სამშობლოში დააბრუნა და მანაც კონტრაქტი „ფლამენგოსთან" გააფორმა. „მადრიდიდან ბრაზილიაში ყურებჩამოყრილი ჩავედი. ღმერთმა ციდან მიწაზე დამაბრუნა. დავიფიცე, რომ უფალზე მაღლა არასოდეს, არც ერთ კლუბს არ დავაყენებდი. მადრიდულმა გამოცდილებამ დამარწმუნა — ღმერთს აქვს ჩემი ცხოვრების გეგმა და მე მხოლოდ მას უნდა მივენდო. ის საუკეთესო მეგობარია".

ცხოვრების გზამ ზე რობერტო საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიყვანა, საიდანაც გერმანიაში, ლევერკუზენის „ბაიერნში", შემდეგ კი მიუნხენის „ბაიერნში" აღმოჩნდა.

### ტარიბო ვესტი

შარშან აპრილში, „კაიზერსლაუტერნის" ნიგერიელმა ლეგიონერმა „ზანკტ პაულთან" მატჩი ავადმყოფობის გამო გამოტოვა. მეორე დღეს იგი მილანში 28-ე დაბადების დღის აღსანიშნავად გაემგზავრა. ყველას რატომღაც ეგონა, რომ ვესტი ღრეობას მოაწყობდა, არადა, ნიგერიელი მილანში ეკლესიაში სალოცავად ჩავიდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ტარიბო ვესტის ცხოვრებაში ფეხბურთის ადგილი რელიგიამ დაიჭირა. სპორტი მისთვის მხოლოდ შემოსავლის წყაროდ იქცა და საკუთარი ფულით მილანელ უსახლკაროებს ეხმარებოდა.

ნიგერიელი თმაკიკინა ამტკიცებს, რომ ფეხბურთმა იგი ლაგოსის შავბნელ ქუჩებს და კრიმინალურ ცხოვრებას აარიდა, ხოლო ღმერთმა — ტიპიური ფეხბურთის ვარსკვლავის უღარდელ ცხოვრებას.

„ოსერში" გატარებული შთამბეჭდავი ოთხი სეზონის შემდეგ ტარიბო ვესტი მილანის „ინტერში" გადაბარგდა. ერთ მშვენიერ დილას მას ძილი ზარმა დაუფრთხო. მან კარი გააღო და თავისი და, პეიშენსი დაინახა, რომელიც ამერიკაში რელიგიურ საქმიანობას ეწევა. პეიშენსმა ძმას მაშინვე მიახალა, რომ სახლში ბოროტი ძალების ყოფნა იგრძნო.

„როგორც მრავალი ფეხბურთელი, მეც ცრუმორწმუნე ვიყავი — თქვა ვესტმა — ყოველი მატჩის წინ სანთელს ვანთებდი და ხელში ისრაელიდან ჩამოტანილი მაგიური ქვა მეჭირა. დამ მითხრა, რომ სახლში ოკულტიზმის სუნი იგრძნო. მართალი გითხრათ, ვარჯიშზე მაგვიანდებოდა და ჩემი დის ნაცვლად სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, უბოდიშოდ მივაბრძანებდი".

როცა ფეხბურთელი ვარჯიშიდან დაბრუნდა, პეიშენსმა მოახსენა, რომ ხილვა ჰქონდა და ძმასთან ერთად ლოცვას შეუდგა. „მაშინ ვიგრძენი — თქვა ტარიბო ვესტმა — მცდარ გზაზე ვმდგარვარ. მუხლებზე დავეშვით და ვილოცეთ. სახლში თუკი რამ ყუთი არსებობდა, ყველაფერს სახურავი თავისით აეხადა. ჯერ ორპირი ქარი მეგონა, მაგრამ მერე სხეულში უცნაურმა სითბომ დაისადგურა და დამ მითხრა — ტარიბო, შენი ადგილი ეკლესიაშია".

ნიგერიელმა ფეხბურთელმა დას დაუჯერა და მილანში, აფორის რაიონში საკუთარი სახსრებით ეკლესია ააშენა. „ოსერის", „ინტერის", „მილანის", „დერბისა" და „კაიზერსლაუტერნის" ყოფილი ფეხბურთელი ამჟამად და ყოველ კვირას მილანში საქადაგოდ დადის.

**გაგა ხუციშვილი**




იესოს უყვარხარ, აწერია ზე რობერტოს

# სერსეს დიდებული



„პერუჯას“ კოლორიტული მწვრთნელი, სერსე კოზმი თავის ფეხბურთელებს აფრთხილებს, რომ თუ მათ ინტერტოტოს თასზე გასვლა სურთ, სერია A-ს ჩემპიონატის დარჩენილი ორი თამაში უნდა მოიგონ. პერუჯელები ამ ტურში „უდინეზეს“ ხვდებიან და თუ მოიგებენ, კლუბის შარშან დამყარებულ რეკორდს, სეზონში დაგროვილ 46 ქულას სერიოზულად დაემუქრებიან.

„დღეისთვის 41 ქულა გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კლუბის ისტორიაში ახალი თავის ჩაწერის შესაძლებლობა გვეძლევა. მეორე მხრივ, „უდინეზესთან“ რთული თამაში გველის, რადგან ჩვენი არ იყოს, უდინელებიც ევროპულ სარბიელზე ფიქრობენ მოხვედრას. ისინი უეფას თასზე მოხვედრას უმიზნებენ, ჩვენკი ინტერტოტოს თასზე გასვლა გვსურს. გარდა ამისა, სეზონის ბოლო შეხვედრაში „ინტერს“ უნდა ვეთამაშოთ, მაგრამ არ გვეშინია და საბოლოოდ, სეზონს ასე დავასრულებთ თუ ისე, ფაქტია, რომ იგი ფანტასტიკურად ჩავატარეთ — თქვა კოზმიმ და დასძინა — გვსურს ჩემპიონატი მშობლიურ „სტადიო კურიზე“ გამარჯვებით დავასრულოთ და ვიმედოვნებ, რომ ტრიბუნები შეივსება. ჩემს ბიჭებს ქომაგთათვის მადლობის თქმა სურთ“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ნახევარი კაცის გასამთელებლად

„ბარი“ ადასტურებს, რომ „იუვენტუსი“ მისი ახალგაზრდა ფეხბურთელის, გაეტანო დაგოსტინოს შეძენით არის დაინტერესებული. საინტერესოა, რომ დაგოსტინოს პატრონი „ბარიც“ არის და „რომაც“, მასზე ერთდროულად ორ გუნდს აქვს უფლებები, მაგრამ ტურინელები ამ ამბავს არ დაუბნევია, მათ რომაელთათვის თავი დაუნებებიათ და ფეხბურთელის იმ „ნახევარს“ ყიდულობს, რომელიც „ბარის“ განკარგულებაშია.

„დაგოსტინოს დიდი სიამოვნებით დავიტოვებდით, მაგრამ გვესმის, რომ დროა ამ ბიჭმა მაღალ დონეზე გააგოროს ბურთი — განაცხადა „ბარის“ სპორტულმა დირექტორმა კარლო რეგალიამ — უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში „რომას“ მოველაპარაკებით და სანამ „იუვეს“ პასუხს გავცემდეთ, ვნახავთ, რამდენს შემოგვთავაზებს. თუმცა უნდა დავძინოთ, რომ ჩვენ დაგოსტინოს ფეხბურთელში არ გავცვლით. ფული გვინდა. ერთი სიტყვით, „რომას“ პატივს ვცემთ, მაგრამ ტურინელებმა უკვე რამდენჯერმე მოგვმართეს, ხოლო „იუვენტუსი“ ის გუნდია, რომლის წინადადებაზეც უარს ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ იტყვის“.

ცნობისთვის: გაეტანო დაგოსტინო „სან ნიკოლაზე“ ორი წლის წინ გამოჩნდა, როდესაც ანტონიო კასანოს დედაქალაქში გადაყვანის საქმე გაიჩარხა. კიდევ დაირხა ხმები, რომ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრს „რომა“ არ დათმობს, იგი მას მთლიანად გამოისყიდის და დაუყოვნებლივ ათხოვებს „ბოლონიას“. თურმე „რომას“ ხულიო კრუზის შეძენა სწადია და ამ არგენტინელში დაგოსტინოს და ნახევარმცველის, დანიელე დე როსის გაცვლას ფიქრობს.

„ბოლონიას“ შეფი რენატო ჩიპოლინი: „კრუზი რომაელებს უნდათ, ჩვენ კი, სანაცვლოდ, მათი ყმაწვილების გადმობირება გვაინტერესებს“.

**ბაჩუნა ძიძია**

**ფეხბურთის რუკასთან**



**უელსელმა** ფორვარდმა ჯონ ჰარტსონმა შესაძლოა უეფას თასის ფინალი გამოტოვოს. ჰარტსონი გლაზგოს „სელტიკში“ თამაშობს. მან ტრავმის გამო უკვე გამოტოვა შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი. ფეხბურთელმა ვარჯიში მხოლოდ გუშინ განაახლა და მწვრთნელ მარტინ ონილს ეეჭვება, რომ უელსელი „პორტუსთან“ ფინალამდე სასურველ ფორმას აღიდგენს. „სელტიკის“ ქომაგებისთვის კარგი ამბებიცაა. ტრავმებისგან საბოლოოდ მოკეთდნენ წამყვანი ფეხბურთელები — მეკარე რობ დუგლასი, მცველი იოჰან მიალბი და თავდამსხმელი კრის სატონი.

**შოტლანდიელი** ნახევარმცველი კრეიგ ბარლი ეროვნულ გუნდს დაემშვიდობა. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა. „დერბი ქაუნთის“ ფეხბურთელს ბოლო დროს ტრავმები სტანჯავდა, მას აქილევსის მყესი აწუხებს. 31 წლის „ჩელსის“ და „სელტიკის“ ყოფილმა ფეხბურთელმა შოტლანდიის ეროვნული გუნდის მაისურა 46-ჯერ მოირგო.

**ინგლისური** პრემიერლიგიდან გავარდნილი „სანდერლენდის“ თავდამსხმელმა კევინ ფილიპსმა გუნდიდან წასვლა ისურვა. 29 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ქვედა დივიზიონში ბურთაობა სულაც არ ხიბლავს. „ჩემით ბევრი პრემიერლიგური კლუბია დაინტერესებული, სეზონი დამთავრდება და შემოთავაზებული ვარიანტებიდან საუკეთესოს ავირჩევ“ — ამბობს ფილიპსი.

**ფრანგი** მცველი, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი მანუელ ამორო მარსელის „ოლიმპიკში“ ბრუნდება. იგი „ოლიმპიკის“ სამწვრთნელო შტაბში იმუშავებს და მშობლიური კლუბის სასელექციო სამუშაოებში ჟან-ფილიპ დიურანს გაუწევს დახმარებას. ამორო და დიურანი 1993 წელსაც ერთად იყვნენ. მათ „ოლიმპიკთან“ ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგეს, როცა ფინალში მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ იტალიური „მილანი“ დაამარცხეს.

**ირლანდიელმა** ნახევარმცველმა როი კინმა სერ ალექს ფერგიუსონს ოფიციალურად მოსთხოვა, ახალი სეზონიდან ერთი ტოპკლასის ფორვარდი გუნდში აუცილებლად გვჭირდება და უმჯობესია, თუ ეს იტალიელი კრისტიან ვიერი იქნებაო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯილა ამბობს: „ვიერის ხილვა ყოველთვის მსურდა „იუნაიტედში“, დარწმუნებული ვარ, ვან ნისტელროი-ვიერის დუეტი მსოფლიოში უძლიერესი იქნება და ჩვენ მერე ვერც ვერავინ შეგვაჩერებს“.

**ბელგიელი** მარკ ვილმოტსი სეზონის დამთავრების შემდეგ გელზენკირხენის „შალკეს“ მწვრთნელის პოსტის დატოვებას და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, მას პოლიტიკოსობა სურს. მარკმა „შალკეში“ გაგანია სეზონისას შეცვალა ფრანკ ნოიბარტი. ვილმოტსის თქმით, იგი ფეხბურთმა დაღალა და სურს, ძალები სხვა სფეროშიც მოსინჯოს.

**ინგლისური** „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ ახალი სეზონისთვის ორ ფეხბურთელს დაადგა თვალი — „ბლექბერნის“ განაპირა შემტევ დემიენ დაფს და „ოსერის“ ფორვარდ ჯიბრილ სისეს. „ბლექბერნი“ ირლანდიელ დაფს 12 მილიონ ევროდ აფასებს, „ოსერი“ კი თავისი წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვას 14 მილიონზე ნაკლებად თურმე არ აპირებს. „თანხა არც ისე ძვირია. თუ გვინდა, რომ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ, ძლიერი ფეხბურთელების შესაძენად ფულიც უნდა დავხარჯოთ. ვფიქრობ, „ლივერპულის“ შეფობა ჩემს მიზნებს გაგებით მოეკიდება“ — ამბობს ულიე.

**იტალიელი** მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ექტორ რაულ კუპერის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება. „მილანთან“ წაგებული საჩემპიონთალიგო ორმატჩიანი დუელის შემდეგ „ინტერში“ არგენტინელი სპეციალისტის პოზიციები შეირყა. მასმედიის მტკიცებით, მასიმო მორატის უკვე საკმაო საფუძველი აქვს, კუპერი „ინტერის“ მწვრთნელობიდან გაათავისუფლოს. გახდება თუ არა, „უდინეზეს“, „მილანისა“ და „ლაციოს“ ყოფილი თავკაცი ძაკერონი „ნერო-აძურის“ მწვრთნელი, უახლოეს ხანში გავიგებთ, თუმც აქა-იქ რობერტო მანჩინიც ფიგურირებს.

**კვიპროსულმა** „აპოელმა“ მწვრთნელი ტაკის ლემონისი გაათავისუფლა. ლემონისი არ დათანხმდა კლუბის ხელმძღვანელთა მოთხოვნას, მისთვის ხელფასი შეემცირებინათ. „აპოელს“ ქვეყნის მთვრობამ ფინანსური დახმარება შესთავაზა იმ პირობით, თუ კლუბის სამმილიონიან ბიუჯეტს ორამდე შეამცირებდა. ლემონისიც სწორედ ამ სეკვესტრს შეეწირა.

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი მცველი ფრანკ ლებეფი სეზონის ბოლოს მარსელის „ოლიმპიკს“ დატოვებს და კარიერას ყატარში გააგრძელებს. ლებეფი უკვე შეუთანხმდა „ალ სადის“ ხელმძღვანელობას. „მარსელის“ კაპიტანმა ყოველივე ასე ახსნა: „უკვე ასაკოვანი ვარ, მაღალ დონეზე სათამაშოდ ძალა აღარ მერჩის. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილებით ყატარულ კლუბს დიდ სარგებელს მოვუტან. თანაც მსურს, კარიერის ბოლო წლები მშვიდად და უზრუნველად გავლიო“.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი უესლი ბრაუნი ისე დაშავდა, რომ მწყობრიდან კარგა ხნით გამოვიდა. მუხლის ტრავმა ბრაუნმა „ევერტონთან“ მატჩში მიიღო. მას ოპერაცია ამ დღეებში გაუკეთებენ.

# შენდობილ ხიზანეიშვილს მაინც არ შეუნდეს

## შტელინმა ტორპედოს ვალი დაუტოვა

**სადაც** 11 მაისის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ თამაშს ახსენებდნენ, იქ მსაჯ კახა მესხის სახელიც გაიჟღერებდა. მესხის ხსენება კი სადისციპლინო კომიტეტის წევრ გოგი დემეტრაძეზე ისე მოქმედებს, როგორც ოსამა ბინ ლადენი ამერიკის დაზვერვაზე. სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე „ტორპედოს“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი ალექსანდრ შტელინის საქმეც გაარჩიეს და არც წვრილმანი საკითხები დავიწყებიათ.

ყველაზე მთავარი „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ დასრულებისთანავე მომხდარი ამბები იყო. კახა მესხის საფინალო სასტვენის შემდეგ დინამოელებმა მსაჯი ალყაში მოიქციეს, გვარიანადაც გამოლანძღეს, ხოლო ოთარ ხიზანეიშვილმა მისი გასილაქებაც სცადა, ლალღებდა თავად მსაჯის და მატჩის ინსპექტორ-დირექტორის პატაკი.

ვიდრე საქმის გარჩევა დაიწყებოდა, სიტყვა „დინამოს“ სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ ითხოვა და დისციპლინარებს ფეხბურთელებისა და კლუბის რამდენიმე თანამშრომლის ფინანსურ სასჯელზე ელაპარაკა:

— „დინამომ“ ოთარ ხიზანეიშვილს და მის მეგობრებს, აგრეთვე ფარმ-კლუბის თავკაც ოთარ კორღალიძეს, უსაფრთხოების ოფიცერ გია ისიანს და კლუბის წარმომადგენელ მალხაზ ლაცაბიძეს ფულადი ჯარიმები უკვე დაუდგინა, ხოლო ხიზანეიშვილის დასჯა თუ აუცილებელია, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ვაკმაროთ.

ამის შემდეგ დისციპლინართა აზრები ორად გაიყო. ისინი ერთსულოვნები მხოლოდ კლუბის დასჯაში იყვნენ. „დინამოს“ 1500-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს. ხიზანეიშვილის შემთხვევაში კომიტეტის წევრთა ნახევარი მის დასჯას ითხოვდა, მეორე ნახევარი კი ფეხბურთელის მხარეს იყო.

რაკი დასჯის მომხრე-მოწინააღმდეგე თანაბარი აღმოჩნდა, ხმის უფლება დისციპლინართა თავკაცმა ომარ გოგიაშვილმა გამოიყენა — თუ მესხს ნახევარი „დინამო“ გარს ეხვია, მხოლოდ ხიზანეიშვილი რად გამოირჩაო — ეს ის შემთხვევა იყო, როცა გოგიაშვილმა ზუსტად ათიანში მოარტყა და ამისთვის მას ვერავინ გაამტყუნებდა.

ვინც 11 მაისის „შევარდენზე“ გახლდათ, ის გადაჭრით ვერ დაამტკიცებს, ხიზანეიშვილი გაიქაჩა მესხისკენ თუ სხვა დინამოელი. ან ერთად რამდენიმე დინამოელისთვის უნდა მოეკითხათ, ანაც არც ერთისთვის.

„დინამოს“ საკითხი ამით არ დამთავრებულა. მართალია, დისციპლინარებმა არც მესხის მიერ გაძევებული დინამოელი გიორგი ანწაძე დავიწყებიათ, ვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50-ლარიანი სასჯელი დააკისრეს, მაგრამ მოგვიანებით ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარებისა და შეჯიბრებების კომიტეტმა ხიზანეიშვილის საკითხი სააპელაციო კომიტეტს გადასცა. დღეს ფედერაციაში კომიტეტის თავკაცი არჯევან ლომიძე მივა, მასალებს ჩაიბარებს და კვირის ბოლომდე, ალბათ, საბოლოო ვერდიქტიც გვეცოდინება.

3 მაისის „დინამო“ — „ტორპედოს“ დამთავრებამდე ნახევარი საათი რჩებოდა, როცა გოგი დემეტრაძის უსაყვარლესმა მსაჯმა კახა მესხმა ქუთაისელთა დამრიგებელი ალექსანდრ შტელინი ტრიბუნაზე აабრძანა. ეს უკრაინელისთვის პირველი შემთხვევა ნამდვილად არ ყოფილა, თუმც შტელინი აქაურ დისციპლინართა ვერდიქტებს აღარ დაგიდევდა და მის დისკვალიფიცირებასაც აზრი არ ჰქონდა. საქართველოდან აბარგებულ უკრაინელს 100-ლარიანი ჯარიმა კი დააკისრეს, მაგრამ მანამდე არაფერი გვეტყოდა, სანამ შტელინი ამ თანხას გადაიხდის. ფული ფედერაციის სალაროში ქუთაისური კლუბის შესატანი გახდება.

უმაღლესლიგელთაგან ვიტჯორჯიელი ვლადიმერ გოჩაშვილი და კოლხი ნარსიაც დასაჯ-დაიჯარიმეს. მსაჯთაგან გაძევებულებს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100-100 ლარიანი ჯარიმები ერგოთ. პირველ და რეგიონულ ლიგებში მობურთალ ფეხბურთელთა სასჯელებზე ყურადღების გამახვილება კი არ ღირს. ყოველ ტურში ასეთები მრავლადაა და ფედერაციის სალაროსაც გვარიანად ავსებენ.

**მამუკა კვანტალიანი**



ოთარ ხიზანეიშვილის (№25) საქმეს სააპელაციო კომიტეტში განიხილავენ


**სიახლე საქართველოში!**
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
**სარო-არტპრინტი**
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# საკუთარ თავს პრეტენზია წავუყენე

## პერსპექტიული ფეხბურთელი არ ვარ

*25 წლის ლევან კობიაშვილისთვის ეს სეზონი ერთობ წარმატებული გამოდგა – „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში ამაღლდა, ხოლო ლევანმა გელზენკირხენის „შალკე 04"-თან მოაწერა ხელი სამწლიან კონტრაქტს.*

*კობიაშვილი წინ გაიჭრა – პერიფერიული კლუბიდან გაცილებით ამბიციურ, სახელიან და მდიდარ გუნდში გადავიდა.*

*კობიაშვილი ეროვნულ ნაკრებშიც გამოირჩა – ირლანდიის კარიმიდან გაუტანა და ის მატჩი ფეხმტკივანმა ვაჟკაცურად ჩაამთავრა.*

*– ახლა შედარებით უკეთ ვარ, თუმც ტრავმა ბოლომდე ვერ მოვირჩინე და არ მინდა გავრისკო – ვარჯიშისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ – გვითხრა ლევან კობიაშვილმა და ინტერვიუც ამის შემდეგ დავიწყეთ*



**— ამ ცოტა ხნის წინათ გერმანულ პრესაში დაიწერა, კობიაშვილი გელზენკირხენში უკვე ბინას ეძებსო?**

— ეგრეა, თუმც ჯერ არ გადამიწყვეტია, სად ვიცხოვრებ.

**— „შალკეს" როდიდან შეუერთდები?**

— ჯერ არ ვიცი. სეზონი ჩამთავრდეს, ფეხი ბოლომდე მომირჩეს და მერე ვნახოთ, როდის მომიწევს ახალ კლუბში მისვლა.

**— „შალკეს" მხრიდან შენთან მოლაპარაკებას კლუბის გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი უძღვებოდა პირადად?**

— ასაუერი და გუნდის მენეჯერი ანდრეას მიულერი.

**— როგორ ფიქრობ, პროვინციული „ფრაიბურგიდან" გადასულს „შალკეში" თავიდან გაგიჭირდება? ფსიქოლოგიურ ასპექტშიც „შალკეში" თამაში სულ სხვა იქნება?**

— რა თქმა უნდა, „შალკეში" ადაპტირება ძალიან ძნელი იქნება. „ფრაიბურგი" მართლაც ჩამოუვარდება „შალკეს" და ესეც რომ არ იყოს, ფეხბურთელისთვის გუნდის შეცვლა ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული — ახალი გარემო, ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები.

**— მაგრამ წინსვლისთვის ასეთი ნაბიჯი ხომ აუცილებელია...**

— ჰოდა, მეც სულ ის მინდოდა, მეტი წინსვლა მქონოდა. საკუთარ თავს პრეტენზიებს ვუყენებ, რათა მეტის გაკეთება შევძლო. მინდოდა ისეთ კლუბში გადავსულიყავი, რომელსაც ტიტულების მოგება შეუძლია, თორემ შემეძლო „ფრაიბურგში" კიდევ დავრჩენილიყავი — ყველანაირად უზრუნველყოფილი და კმაყოფილი. მაგრამ, ვფიქრობ, „შალკეში" გადასვლით მნიშვნელოვანი და სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**— აქ ერთი ფაქტორიცაა — „ფრაიბურგი" რაღაცნაირ, არაგერმანულ, უფრო მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს, „შალკეს" კი სულ სხვა სტილი აქვს — მოერგები გელზენკირხენელთა კონცეფციას?**

— მე რომ „შალკეში" მივალ, იქ მარკ ვილმოტსი აღარ იქნება მწვრთნელი — გუნდს სხვა სპეციალისტი გაწვრთნის. ყველა მწვრთნელს თავისი მონახაზი კი აქვს, მაგრამ ვილმოტსისგან გაცილებით მეტს ელოდნენ და ასე არ მოხდა.

**— გამოდის, რომ ამ სეზონის „შალკე" ძალიან არ მოგეწონა?**

— რაც კი გერმანიაში ვარ, „შალკე" ამ სეზონში ყველაზე სუსტად გამოვიდა.

**— სამომავლოდ „შალკეს" რა კონკრეტული მიზანი ექნება?**

— ჩემპიონობისთვის ბრძოლა „შალკეს" ძალიან გაუჭირდება, მაგრამ სამეულში მოსახვედრად კი უნდა შესწევდეს ძალა და კიდევ თასის მოსაპოვებლად.

**— გერმანულ კარიერამდე ერთი წელიწადი რუსეთში, ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდი. როგორ ფიქრობ, რუსეთში ყოფნით რაღაც დრო ხომ არ დაკარგე?**

— არა, რუსეთში თამაში ჩემთვის სასარგებლო გამოდგა. კარიერა ჯერ რუსთავში დავიწყე, მერე თბილისის „დინამოში" გადავედი და ეროვნულ ნაკრებშიც მოვხდი, შემდეგ „ალანია" და მერე „ფრაიბურგი" — ვფიქრობ, გუნდის ყოველი გამოცვლით წინ მივდივარ.

**— ამ სეზონის პირველ ეტაპზე შთამბეჭდავად არც „ფრაიბურგში" არ გამოიყურებოდი და არც ნაკრებში. ალექსანდრე ჩივაძემ მაშინ თქვა, „ფრაიბურგი" რომ ბუნდესლიგიდან გავარდა და კობიაშვილი სხვა გუნდში ვერ გადავიდა, ამან ლევანზე ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა და პატარა ჩავარდნაც ამის ბრალი იყოო. ეთანხმები ასეთ განმარტებას?**

— რა თქმა უნდა. „ფრაიბურგი" რომ გავარდა, ძალიან მტკივნეულად აღვიქვი, ფსიქოლოგიურად ეს ჩემთვის რთული გადასატანი იყო. თანაც იმედი მქონდა, რომ სხვა გუნდში გადავიდოდი, საკმაოდ სერიოზულ დონეზე იყო ლაპარაკი ჩემს „კაიზერსლაუტერნში" გადასვლაზე, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ყველაფერი ამის გამო რამდენიმე თვე ფსიქოლოგიურად მართლაც გამიჭირდა, რაც დაეტყო კიდეც ჩემს თამაშს. მაგრამ რახან „ფრაიბურგში" დავრჩი, რაც შემეძლო, გუნდს ყველაფრით დავეხმარე, სტაბილურად ავთამაშდი, მერე კი ჩემი გზა ავირჩიე.

**— ხუთი წელიწადია, რაც გერმანიაში ხარ. რა მოგცა იქ ყოფნამ, მაინც რითია გერმანია განსაკუთრებული?**

— სხვა ქვეყნებისგან გერმანია წესრიგით გამოირჩევა, ხალხიც ძალიან მოწესრიგებულია — ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და მეც შევეჩვიე აქაურობას. კარგად ავითვისე გერმანული ენაც, რაც მთელი ცხოვრება გამომადგება.

**— გერმანია, როგორც საფეხბურთო ქვეყანა, იმითაცაა გამორჩეული, რომ იქ ფეხბურთელები გვიან ღვინდებიან — 25-26 წლის ფეხბურთელებზე ამბობენ, ჯერაც პერსპექტიულები არიან და კიდევ ბევრს მოუმატებენო...**

— თუ ბუნდესლიგის გუნდებს გადახედავთ, ისინი უმეტესწილად 25-26 წლის და ამ ასაკს გადაცილებული ფეხბურთელების იმედად არიან, გუნდებში 70 პროცენტს 25 წელს გადაცილებული მოთამაშეები შეადგენენ. მაგრამ პირადად ჩემს შემთხვევაში, არა მგონია, რომ „შალკემ" მე, როგორც პერსპექტიული ფეხბურთელი, ისე ამიყვანა.

**— „ფრაიბურგზე" და „შალკეზე" კი ვილაპარაკეთ, მაგრამ ფრაიბურგსა და გელზენკირხენზე არაფერი გვითქვამს. არადა, ფრაიბურგი ტიპიური გერმანული ქალაქი არ არის, მათ შორის არც მენტალურად.**

— სხვა გერმანული ქალაქებისგან ფრაიბურგი მართლაც განსხვავებულია, ეს არის პატარა და ძალიან ლამაზი ქალაქი, რომელიც შვეიცარიასთან, იტალიასთან და საფრანგეთთანაა ახლოს. გელზენკირხენს კი ძალიან ცუდად ვიცნობ, მაგრამ ის კია, რომ გელზენკირხენი გერმანიის ცენტრშია და გერმანიის თითქმის ყველა საკვანძო ქალაქი მისგან მანქანით 20-30 წუთის სავალზეა. ფართობით კი გელზენკირხენი ფრაიბურგზე პატარაა.

**— სამაგიეროდ, გელზენკირხენს გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი აქვს...**

— „შალკეს" სტადიონი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და საუკეთესოა, თუმც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სხვა ქალაქებშიც აპირებენ სტადიონების რეკონსტრუქციას თუ ახლის აშენებას.

**— გელზენკირხენი ფრაიბურგისგან იმითაც განსხვავდება, რომ ინდუსტრიული ქალაქია და იქ არც ქართველი თანაგუნდელები გეყოლება და არც ფოლკერ ფინკე, რომელიც სულ იმას ცდილობს, ერთი ქვეყნიდან რამდენიმე ლეგიონერს მოუყაროს გუნდში თავი, რათა მათ უცხო გარემოში არ იგრძნონ თავი.**

— ფრაიბურგში ბიჭები სულ ერთად ვიყავით, მაგრამ რა გაეწყობა, ყოველთვის ერთად ვერ ვიქნებით, ადამიანი კი ყველაფერს ეჩვევა.

**— ცხოვრებაში ყველაზე უფრო რა გაღიზიანებს?**

— ბევრ რამეზე მეშლება ხოლმე ნერვები, მაგრამ რაღაც ერთ, კონკრეტულ რამეზე გართულება არ მაქვს.

**— ყველაზე უფრო რა გამშვიდებს?**

— ოჯახთან, მეუღლესთან და ბავშვთან, შინაურებთან ყოფნა.

**დავით თაგართქილაძე**

# ყველაზე გერმანული ჯოკერი

## ხუმარათა დაცემა და ამაღლება

**გელზენკირხენის** ერთ-ერთი გარეუბნის ერთ-ერთ ლუდხანაში 1904 წლის ზაფხულში 14-15 წლის ბიჭებმა საფეხბურთო კლუბი „ვესტფალია შალკე" დააფუძნეს. ჯეელებს ბურთაობის ჟინი მოსჭარბებოდათ, მაგრამ გერმანიის ფეხბურთის ასოციაცია მათ არ სცნობდა. ჰოდა, 8 წლის შემდეგ ბიჭები ამ ორგანიზაციაში უკვე გაწევრიანებულ კლუბ „ტურნვერიენ 1877 შალკეს" მიეკედლნენ, ხოლო 1912 წელს ამავე კლუბს გამოეყვნენ, „შალკე 04" დაირქვეს და ლურჯ-თეთრად, ტრადიციულ ფერებშიც შეიმოსნენ.

1925 წლის 3 მაისს „შალკემ" პირველი ვესტფალიური დერბი ითამაშა დორტმუნდის „ბორუსიასთან" და 4:2 მოიგო.

ხოლო ორი წლის შემდეგ „შალკე" გერმანიის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაძვრა და სახელიც მთელს ქვეყანაში დაიგდო.

„შალკე" ჩვენებურად ხუმარას ნიშნავს და ასე ერქვა იმ გარეუბანს, სადაც 99 წლის წინ მეშახტეთა ვაჟებმა ფეხბურთი ცხოვლად მოინდომეს.

პირველი ფეხბურთელი, ვინც „შალკედან" ეროვნულ ნაკრებში მოხვდა, ერნსტ კუზორა გახლდათ. მას „დი კნაპენს" ეძახდნენ, რაც ქართულად უფრო ალბათ „მეშახტეს" ნიშნავს, სიტყვასიტყვით კი მიწის მთხრელს. „კნაპენს" მთლიანად „შალკესაც" კი ეძახდნენ.

1933 წელს „შალკე" პირველად გავიდა გერმანიის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში და დიუსელდორფის „ფორტუნასთან" 0:3 წააგო.

მომდევნო წელიწადს კი კუზორას გოლებით სტუმრებმა „ნიურნბერგს" სძლიეს ფინალში 2:1 და პირველად გახდნენ გერმანიის ჩემპიონები. სწორედ აქედან დაიწყო „შალკეს" წარმატებათა ერა. გუნდში კი ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა — ერნსტ კალვინსკი.

ომის შემდგომ წლებში „შალკე" ისე ჩაფლავდა, ვესტფალიის ჩემპიონობის მოპოვებაც უჭირდა და კრიზისს მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს დააღწია თავი.

ბუნდესლიგა 1963 წელს შეიქმნა და „შალკეს" ბუნდესლიგური ისტორიაც მაშინ დაიწყო. 1967 წელს გელზენკირხენელებმა თავიანთი ყველაზე მწარე მარცხი იწვნიეს ბუნდესლიგაში — 0:11 „მიონხენგლადბახისგან".

1969 წელს კი „შალკე" მეშვიდედ გავიდა ფინალში და მეექვსედ წააგო ის — მისი მძლეველი მიუნხენის „ბაიერნი" გამოდგა (2:1).

70-იანი წლები ვესტფალიელმა მიწის მთხრელებმა რიხით დაიწყეს — 1970 წელს თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ ფინალში გასვლა „მანჩესტერ სიტიმ" არ დაანება.

ორი წლის შემდეგ „შალკემ" გერმანიის თასის ფინალში „კაიზერსლაუტერნს" მოუგრიხა კისერი 5:0. ერთი გოლი კლაუს ფიშერმა გაიტანა, რომელიც „შალკეს" ისტორიაში ყველაზე სახელიან ფეხბურთელად ითვლება.

ფიშერი დიდებული ბომბარდირი გახლდათ. 1980 წელს ის ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ ესპანურ მუნდიალზე ვერცხლით დაიმშვენა მკერდი. სხვათა შორის, 1980 წლის „ნაციონალმანშაფტს" შალკელი ნახევარმცველი ბერნარდ დიტცი კაპიტნობდა.

1972-73 წლების სეზონში სკანდალი დატრიალდა — „შალკე" — „არმინიას" მატჩი (0:1) გარიგებული გახლდათ. ამბავი მალევე გასკდა — გერმანიის საფეხბურთო კავშირმა „შალკეს" თითოეული ფეხბურთელი 2 300 მარკით დააჯარიმა, ხოლო რამდენიმე მათგანს 1974 წლის იანვრამდე აუკრძალა თამაში, მათ შორის ფიშერსაც.

1976 წელს ბუნდესლიგის ბომბარდირი პირველად გახდა „შალკეს" ფეხბურთელი — ფიშერმა 29 გოლი მოაქუჩა.

მომდევნო სეზონში „შალკემ" ბუნდესლიგაში თავისი ყველაზე უხვგოლიანი გამარჯვება მოიპოვა და თანაც ვისთან — მიუნხენის „ბაიერნი" 7:0 მიტყეპა, ფიშერმა კი ოთხი გოლი შეაგდო.

ერთი წელიწადიც და „შალკეს" მიონხენგლადბახური „ბორუსია" გადაეღობა და ბუნდესლიგაში მეორე ადგილსღა დასჯერდა.

80-იანი წლები — „შალკე" მისავათდა, ბუნდესლიგიდან ხან ვარდება, ხან ბრუნდება. 1984 წელს კი „შალკემ" მთელი გერმანიის მასშტაბით ისტორიული მატჩი ითამაშა. მეორე ბუნდესლიგელი „შალკე" ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნს" გადაეყარა. 11-მეტრიანების სერიამდე ანგარიში 6:6 იყო. ბავარიელები კარლ-ჰაინც რუმენიგეს დიდებულმა წარმოდგენამ იხსნა, თორემ „შალკე" იმ თამაშს ნაღდად მოიგებდა. პენალტებში კი ბავარიელებმა იმარჯვეს — მათ ხომ კარში ჟან-მარი პფაფი ეყენათ. ამ ისტორიულ შეხვედრაში დაიბადა „შალკეს" ახალი ვარსკვლავი — ექვსიდან სამი გოლი „ბაიერნს" 18 წლის ოლაფ ტონმა გაუტანა, ვინც 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1991 წელს „შალკე" სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა ბუნდესლიგაში. კიდევ სამი წელიწადი და „შალკეში" ძალიან ეფექტური შიდასტრუქტურული და ფინანსური რეფორმები განხორციელდა.

და დადგა 1997 წლის მაისი — „შალკე" უეფას თასის ფინალში მილანის „ინტერის" წინააღმდეგ. გელზენკირხენში „ხუმარებმა" მარკ ვილმოტსის კინკილათი მოუგეს „ინტერს", მილანში კი იტალიელებმა ივან სამორანოს გოლით იმარჯვეს, ხოლო 11-მეტრიანებში „შალკემ" 4:1 მოიგო და „სან სიროზე" უეფას თასიც ასწია.

„შალკეს" ისტორიაზე თხრობას აქ შევწყვეტთ. იმასღა დავძენთ, რომ რამდენიმე თვის წინ გამწვრთნელებული ვილმოტსი კლუბს იმადაც ეყრება, რომ პოლიტიკაშია გადავარდნილი — ბელგიის ლიბერალური პარტიის წევრია.

**დავით თაგართქილაძე**

### შალკე 04

გერმანიის ჩემპიონი
1934, 1935, 1937, 1939, 1940, 1942, 1958

გერმანიის თასის მფლობელი
1937, 1972, 2001, 2002

უეფას თასის მფლობელი
1997



**კლაუს ფიშერი გოლებით ესპანეთი 82-ზეც გამოირჩა**

*კითხვა: რა საერთო აქვთ მალხაზ ასათიანსა და ვალერი აბრამიძეს მიხეილ აშვეთიასთან? პასუხი: რა და პრემიერლიგაში აშვეთიას „სპარტაკ-ალანიამ" ორი რუსული გრანდი – ასათიანის „ლოკომოტივი" და აბრამიძის „სპარტაკი" უკვე გააკრა ბეჭებზე.*

*თუმც ამ სამ ქართველ ფეხბურთელს მალე, ალბათ, კიდევ ერთი საერთო გამოუჩნდებათ – სამივე ჩვენებური მოსკოვში დაიდებს ბინას.*

*ძალიან რომ არ დაგაბნიოთ, გეტყვით, ასათიანი უკვე მოსკოვის „ლოკომოტივშია", აბრამიძე მოსკოვისვე „სპარტაკში", აშვეთია კი...*

*დარჩა სწორედ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია, რომლისთვისაც, როგორც გაირკვა, ვალერი გაზაევის ცსკა-ს ჯერაც არ მოუშორებია თვალი და... დანარჩენს თავად ვლადიკავკაზელთა ლიდერისგან შეიტყობთ, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ*

# მიხეილ აშვეთიას გასალდათებას უპირებენ

## გაზაევმა ქართველს თვალი ვერ მოაშორა



მიხეილ აშვეთიამ (№11) ვალერი გაზაევს თავი თბილისშიც დაამახსოვრა

**— წინა ტურში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" ტრავმის გამო არ გითამაშია. ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— უკვე არაფერი მაწუხებს. სამი დღეა, ვარჯიში განვაახლე და ტკივილებს საერთოდ არ ვგრძნობ. ასე რომ, საშიში არაფერია.

**— კონკრეტულად რა გაწუხებდა?**

— ფეხის უკანა კუნთი მქონდა დაჭიმული.

**— ესე იგი, მომავალ ტურში ითამაშებ?**

— აუცილებლად. თუ რამ სასწაული არ მოხდა, ცსკა-თან უეჭველად ვითამაშებ.

**— რუსეთის ორი საუკეთესო გუნდი უკვე დაამარცხეთ...**

— კი, მაგრამ ცსკა-სთან მაინც ურთულესი მატჩი გველის. თან ვალერი გაზაევის გუნდი ახლა საუკეთესო ფორმაშია.

**— რამდენიმე დღის წინ ვალერი გაზაევმა დაადასტურა, რომ სეზონთაშორის შესვენებისას შენი გადაბირება სურდა. ამ ამბავს გაგრძელება ხომ არ მოჰყვება?**

— შესაძლოა, ასეც მოხდეს.

**— ესე იგი, ცსკა კიდევ იჩენს ინტერესს შენს მიმართ?**

— მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვნახოთ, რა მოხდება. ბევრი რამ ალბათ ჩვენს მომავალ თამაშშიც გაირკვევა. თუ მოსკოველებს თავი ამჯერადაც დავამახსოვრე, მერე, მგონი, ამ ტრანსფერს წინ ვერაფერი დაუდგება.

**— არმიელები საქართველო — რუსეთის მატჩის შემდეგაც უფრო გააქტიურდებოდნენ...**

— ადრეც ვამბობდი, რომ ცსკა-ს ჩემი გადაბირება სურდა, თუმც ნაკრების მატჩის დადებით გავლენასაც არ გამოვრიცხავ.

**— მაინც როდის უნდა ველოდოთ ამ ტრანსფერს?**

— თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ალბათ, პირველი წრის შემდეგ გახდება შესაძლებელი მოსკოვში გადაბარგება. ვნახოთ, წინასწარ მეტს ვერაფერს გეტყვი.

**— ახლახან ისიც ითქვა, რომ „სპარტაკ-ალანიაში" ფინანსური კრიზისია...**

— ფინანსური პრობლემები იყო, მაგრამ თანდათან სიტუაცია გამოსწორდა. ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს დავალიანებების გასტუმრებას. საგანგაშოს ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ.

**— გუნდიდან რევაზ ძოძუაშვილის წასვლაზეც ალაპარაკდნენ.**

— ეს ჭორია. ძოძუაშვილი დღესაც გუნდშია და ჩვეულად, მომავალი მატჩებისთვის გვამზადებს. არ ვიცი, ვის რაში დასჭირდა ასეთი ტყუილის დაწერა. ალბათ, ამ ფინანსური კრიზისის გამო ძოძუაშვილის გადადგომაზეც ალაპარაკდნენ.

**— ანუ რევაზ ძოძუაშვილი გუნდში რჩება?**

— ყოველ შემთხვევაში, პირველი წრის ბოლომდე უეჭველად ასე იქნება. მას აქედან არავინ გაუშვებს, თუ თავად არ ისურვა წასვლა. გუნდს კარგი შედეგები აქვს და საპრეტენზიოც არავის ეთქმის.

**— კი მაგრამ, ახლანდელი „სპარტაკ-ალანია" მაინც არასტაბილური თამაშით გამოირჩევა...**

— ეგ არაფერი. თანდათან კიდევ უფრო შევთამაშდებით და მოვუმატებთ. წინ ჯერაც ძალიან ბევრი მატჩი გველის.

**ქახა შალამბერიძე**

# რუსული კლასიკა

## როსტოველებისთვის რეხვიაშვილი ზანგებზე უარესია

**ასე ხდება** ორი საუკუნეა და აღარც გვიკვირს. ვაი, რომ აღარ გვიკვირს, მერე კი ყველას გასაგონად იტყვიან: რუსები და ქართველები ძმები ვართ, გასაყოფი რა გვაქვსო. გასაყოფი მართლაც არაფერი გვაქვს. არც ის, რაზეც რუსები იძახიან გავიყოთო...

...ფაქტზე ვთქვათ — ამ უქმეებზე მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგი" როსტოვს ეწვია რუსული პრემიერლიგის მერვე ტურის მატჩის სათამაშოდ. დედაქალაქელებმა 0:1 წააგეს, თუმც საგანგაშოს ამაში ვერაფერს ვხედავთ. საგანგაშო და გამაღიზიანებელი სხვა რამ არის. კერძოდ, როსტოველ ჟურნალისტთა და გულშემატკივართა გარკვეულმა ნაწილმა „ტორპედო-მეტალურგის" ქართველ ნახევარმცველს ალექსანდრე რეხვიაშვილს მთელი მატჩის განმავლობაში არ დააკლო „ტკბილი" სიტყვები. როსტოველთა ერთადერთი სამიზნე სწორედ საქართველოს ნაკრების წევრი იყო. შეურაცხმყოფელ და რასისტულ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა...

აი, რა განაცხადა „ტორპედო-მეტალურგის" პრესსამსახურის უფროსმა მაქსიმ მოტინმა ამ ფაქტის შესახებ:

— როსტოველ ჟურნალისტთა საქციელმა აღმაშფოთა. ვერც წარმოიდგენთ, რა შემზარავ და ბილწ ფრაზებს ეძახდნენ ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში ალექსანდრე რეხვიაშვილს. უფრო მეტად რასისტული შეძახილები ჭარბობდა. არადა, ქართველის გარდა მოედანზე „როსტოვის" ექვსი შევკანიანი აფრიკელიც თამაშობდა.

ასე ხდება ორი საუკუნეა და აღარც გვიკვირს. ვაი, რომ აღარ გვიკვირს... თუმც საფეხბურთო კლუბმა „როსტოვმა" ვითარება უცებ „განმუხტა". გუშინ „როსტოვის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მოუბოდიშა „ტორპედო-მეტალურგსა" და ალექსანდრე რეხვიაშვილს მომხდარის გამო.

და ყოველივე ამის შემდეგ რუსეთ — საქართველოს ნებისმიერი სახის მატჩს აპოლიტიკური უწოდო, ბრმა უნდა იყო. ჩვენ პატარა ერი ვართ და გვავიწროვებენ. უნდა მოვითმინოთ. მით უმეტეს, 30 აპრილისნაირი გამარჯვება მოთმენად ნაღდად ღირს.

ამ ამბავთან დაკავშირებით გუშინ მოსკოვში თავად რეხვიაშვილს დავუკავშირდით, რომლის კომენტარიც „მეტალურგის" პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციისგან განსხვავებული აღმოჩნდა.

— ჩვენი პრესატაშე ახალგაზრდა, ჯერაც გამოუცდელი ბიჭია და შეიძლება ვიღაცის წამოძახილი ცოტათი გაბუქა კიდეც. არ გამოვრიცხავ, ვინმეს ჩემთვის შავკანიანი ქართველი ეწოდებინოს. თავად მე არაფერი გამიგია, მოედანზე არც ფეხბურთელებს უკადრებიათ ზედმეტი რამე და ქომაგმაც ტაშით გამომაცილა. „მალადეც გრუზინი" ნამატჩევს ასე მამხნევებდნენ.

როსტოველი კლუბის ხელმძღვანელებმა ჩვენს გუნდს ოფიციალურად კი მოუბოდიშეს, მაგრამ ფაქტია, თავი შეურაცხყოფილად ნამდვილად არ მიგრძვნია.

**ქახა შალამბერიძე**



რუსული შეურაცხყოფა ალექსანდრე რეხვიაშვილის ყურს არ მისწვდა

# დეკანოსიძემ ასწლიანებით ზაიერნს მოუგო

*__13 მაისს__ საუკუნოვანი იუბილე იზეიმა გერმანულმა „ფიურტმა". ქალაქში დილიდანვე საზეიმო განწყობილება იყო. საგანგებოდ გაწყობილ-გალამაზებულ ქალაქში „ფიურტის" საკლუბო დროშები გამოკიდეს. კლუბის მესვეურებმა საგანგებოდ ბურთები და მაისურები დაამზადეს ქომაგთათვის.*

*ბუნებრივია, იუბილე უფეხბურთოდ არ ჩაივლიდა, ფიურტი ბავარიის მხარეს ეკუთვნის და რა გასაკვირია, რომ მეტოქის შესარჩევად შორს გახედვა არ დასჭირდათ იქაურებს. ზეიმის გვირგვინი „ფიურტი" — „ბაიერნის" მატჩი იყო. მიუნხენელები უძლიერესი შემადგენლობით ეწვივნენ იუბილარებს და მწარე ალიყურიც იწვნიეს.*

*ასეთი ანგარიშით ამ სეზონში „ბაიერნს" არ წაუგიათ, წერენ გერმანელი მიმომხილველები. კანის, ლიზარაზუს, დაისლერის, ბალაკის, ელბერისა და სხვათა მცდელობა ამაო გამოდგა — „ფიურტმა" 3:0 დაამარცხა სახელოვანი მეტოქე.*

*ეუგენ ჰახის გუნდის ამ გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი ქართველმაც შეიტანა. გიორგი დეკანოსიძე მიუნხენელთა კარში მესამე გოლის გამტან კაილასის ნაცვლად შევიდა მოედანზე 77-ე წუთზე.*

*სამივე გოლი საპირველტაიმო იყო. მე-7 წუთზე „ფიურტის" დამწინაურებელ როსლერს 14 წუთში პოლიკელამაც აუბა მხარი. კაილასმა კი 33-ე წუთზე შეაგდო. „ბაიერნი" მეოთხესაც გაუშვებდა, კანს რომ არ ეყოჩაღა და რეიხელის პენალტი არ მოეგერიებინა.*

*გუშინ გიორგი დეკანოსიძეს ფიურტში დავუკავშირდით და ვთხოვეთ, შთაბეჭდილება გაეზიარებინა.*

— ბრწყინვალე ზეიმი გამოვიდა. ქომაგთაგან გამორჩეულად ვიგრძენით სითბო. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სახელოვან ფეხბურთელებს შევხვდი მოედანზე. ელბერის, ბალაკის, კანისა და დაისლერის წინააღმდეგ თამაშზე აქამდე ოცნება თუ შემეძლო.

**— როგორ ითამაშე?**

— 15 წუთის კვალობაზე ნორმალურად. ცენტრალურ ნახევარმცველად შემიშვა ეუგენ ჰახმა, რამდენჯერმე მივიღე ბურთი. ერთი-ორჯერ მწვავე პასიც გავაკეთე, ერთხელაც ტარნატის წამოწყებული შეტევა ჩავშალე.

**— ზეიმი ალბათ მატჩის შემდეგაც გაგრძელდა?**

— ასე იყო. ორი ვეტერანი გააცილეს „ფიურტიდან" — მცველი შკარაბელა და მეკარე რეიხოლდი. შემდეგ გრანდიოზული ბანკეტი გაიმართა, გვარიანად მოვილხინეთ.

**— ბავარიელები არ დარჩენილან ბანკეტზე?**

— სამწუხაროდ, არა.

**— „ფიურტს" პირველ ბუნდესლიგაში ალზევების შანსი აქვს.**

— აქ ყველა სასწაულის მოლოდინშია. ორი თამაში დაგვრჩა, „ბურგჰაუზენთან" და „კარლსრუესთან", თუ ექვსი ქულა ავიღეთ, კონკურენტებისთვის მოუწვდომელი ვიქნებით. „ბურგჰაუზენს" შინ ვეთამაშებით, ეს გუნდი უმოტივაციოა და ალბათ მოვუგებთ, სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა გველის სტუმრად გასავარდნი ზონაში მოტრიალე „კარლსრუესთან".

**— ბოლოს რომ შეგეხმიანეთ, გაურკვევლობაში იყავი, თითქმის გადაწყვეტილი გქონდა „ფიურტის" დატოვება, რამე ხომ არ შეიცვალა ამ მხრივ...**

— ახლაც გაურკვევლობაში ვარ. მითხრეს, რომ გუნდს ჩემი შენარჩუნება სურს, მე კი გარანტიები მჭირდება, რომ გამუდმებით სათადარიგო სკამს არ მაჯახინებენ. დასრულდება სეზონი, შევხვდები გუნდის ხელმძღვანელობას, დაველაპარაკებით და თუკი რაიმეს დამაიმედებელს მეტყვიან, რაღა თქმა უნდა, დავრჩები გუნდში, მით უმეტეს, თუ პირველ ბუნდესლიგაში ალზევება შევძელით. ნორმალურ ვითარებაში სხვაგან გამხედავი არ ვარ.

**პაატა ძვანტალიანი**



თამაშს დანატრებული გიორგი დეკანოსიძე (მარჯვნივ) „ფიურტ" — „ბაიერნის" საიუბილეო მატჩში გამოჩნდა

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 63 |
| გოჩა ჯამარაული | 55 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| გიორგი ქინქლაძე | 49 |
| შოთა არველაძე | 45 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| ლევან კობიაშვილი | 42 |
| კახა კალაძე | 34 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| მურთაზ შელია | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| დავით გვარამაძე | 26 |
| ლევან ცქიტიშვილი | 26 |
| გიორგი დემეტრაძე | 25 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 20 |
| გივი დიდავა | 19 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |
| რატი ალექსიძე | 16 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 16 |
| გიორგი გახოკიძე | 15 |
| აკაკი დევაძე | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | 15 |
| რევაზ ქემოკლიძე | 14 |

## გოლები

| | |
|---|---|
| თემურ ქეცბაია | 16 |
| შოთა არველაძე | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | 6 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | 4 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მიხეილ აშვეთია | 3 |
| ლევან კობიაშვილი | 3 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 6 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | დინამო | 16 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო | 5 | – |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | კიოლნი (გერმანია) | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 45 | 16 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 3 | 1 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | მილანი | 1 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 11 | 3 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | აინტრახტი (ვირგესი, გერმანია) | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | დინამო | 8 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | სიონი | 1 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 15 | 2 |
| ირაკლი | გემაზაშვილი | მ | 06/07/77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | დინამო | 26 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | მერანი-ოლიმპი | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | დინამო | 2 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | ჟემჩუჟინა (სოჭი, რუსეთი) | 8 | 2 |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | უგუნდო | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | ტორპედო | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | ცაფრირიში (ჰოლონი, ისრაელი) | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | დინამო | 3 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | უგუნდო | 15 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 25 | 4 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 19 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | დინამო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ტორპედო | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 15 | 6 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ტორპედო | 3 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 34 | – |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | ნ | 11/05/79 | ლოკომოტივი | 3 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ტორპედო | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | დინამო | 2 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | უგუნდო | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | უგუნდო | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10/07/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 42 | 3 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ლოკომოტივი | 8 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 11 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ორფეასი (საბერძნეთი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 2 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დანდი (შოტლანდია) | 63 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | კოოტეეპეე (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | ვიტ ჯორჯია | 1 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ტორპედო-მეტალურგი (რუსეთი) | 16 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | დინამო | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 9 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | მილანი | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | რუბინი (რუსეთი) | 21 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | კრისტალი (რუსეთი) | 10 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | პრიკარპატია (უკრაინა) | 11 | – |
| თემურ | ტულუში | თ | 24/02/72 | კოლხეთი | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | კრივბასი (უკრაინა) | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | უგუნდო | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 14 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 49 | 8 |
| გიორგი | ლუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ლუცერნი (შვეიცარია) | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 8 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში მიატოვა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | რუზელარე (ბელგია) | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | რუბინი (რუსეთი) | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | მილანი | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | დებრეცენი (უნგრეთი) | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 26 | 1 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | ანჟი (რუსეთი) | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | ლოკომოტივი | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | ნეა სალამინა (კვიპროსი) | 9 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | უგუნდო | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ტორპედო | 2 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23/01/75 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ტორპედო | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | დანდი (შოტლანდია) | 20 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | დინამო | 5 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | როსტოვი (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | სიონი | 2 | – |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 55 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | უგუნდო | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ბალტიკა (რუსეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ამიცა (ვრონკი, პოლონეთი) | 2 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | სტროიტელი (უფა, რუსეთი) | 2 | – |

სულ: 119 მოთამაშე

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,5 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,16 | 2,14 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-არმინია | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 18.30 | 006 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.30 | 007 | ვერდერი-შალკე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 008 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXV ტური**

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 034 | ბაიერნი(მ)-შვაინფურტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 035 | რეგენსბურგი-აუგსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 036 | ვეენი-ერფურტი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 17.30 | 037 | კიკერსი-დარმშტადი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.30 | 038 | ჰოფენჰაიმი-ზაარბრიუკენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 039 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ფიულენდორფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 040 | უნტერჰახინგი-ზიგენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 041 | უნტერჰახინგი-ზიგენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

**ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები**

**15 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 043 | შეფილდი-ნოტინგემი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

**იტალია. სერია "A". XXXIII ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 048 | ატალანტა-კომო | 1,05 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 049 | კიევო-რომა | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 18.00 | 050 | ლაციო-ბრეშა | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 18.00 | 051 | მილანი-ბოლონია | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 18.00 | 052 | მოდენა-ინტერი | 3,2 | 2,5 | 2,5 | 1,4 | 1,4 | 1,25 |
| 18.00 | 053 | პარმა-პიაჩენცა | 1,25 | 3,6 | 5,0 | 1 | 1 | 2,09 |
| 18.00 | 054 | პერუჯა-უდინეზე | 2,25 | 3,2 | 2,0 | 1,32 | 1,05 | 1,23 |
| 18.00 | 055 | რეჯინა-იუვენტუსი | 2,1 | 3,2 | 2,6 | 1,26 | 1,16 | 1,43 |
| 18.00 | 056 | ტორინო-ემპოლი | 4,0 | 2,5 | 1,8 | 1,53 | 1,24 | 1,04 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 078 | რასინგი-ატლეტიკო | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 00.30 | 079 | დეპორტივო-ვალენსია | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 080 | სევილია-რაიო | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 081 | ვილიარეალი-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 21.00 | 082 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 21.00 | 083 | ალავესი-ბილბაო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 084 | სოსიედადი-უელვა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.30 | 085 | რეალი-მალაგა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.00 | 086 | ოსასუნა-ბეტისი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 24.00 | 087 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 088 | ლევანტე-კორდობა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 21.30 | 089 | ფეროლი-ალბასეტე | 2,9 | 2,6 | 2,7 | 1,37 | 1,39 | 1,32 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 090 | ხეტაფე-ხერესი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| 15.00 | 091 | ოვიედო-სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 3,5 | 1,18 | 1,27 | 1,58 |
| 21.00 | 092 | კომპოსტელა-ლეგანესი | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 21.00 | 093 | ეიბარი-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 21.00 | 094 | ტერასა-ლას პალმასი | 2,4 | 2,6 | 3,3 | 1,24 | 1,38 | 1,45 |
| 21.00 | 095 | ალმერია-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 4,6 | 1,13 | 1,39 | 1,66 |
| 21.30 | 096 | მურსია-სალამანკა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 22.00 | 097 | ტენერიფე-ეხიდო | 1,9 | 2,6 | 5,0 | 1,09 | 1,37 | 1,71 |
| 22.00 | 098 | სარაგოსა-ელჩე | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური**

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 099 | ამიენი-მეცი | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1,3 |
| 23.00 | 100 | კანი-კრეტეი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 101 | შატორუ-ვასკეალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 102 | კლერმონი-სტ.ეტიენი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 23.00 | 103 | გრენობლი-ლე მანი | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 23.00 | 104 | გენიონი-ისტრი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 105 | ლავალი-ნიორი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 106 | ნანსი-ბოვე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 107 | რეიმსი-ტულუზი | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 23.00 | 108 | ვალანსი-ლორიანი | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1,3 |

**პორტუგალია. II ლიგა. XXXII ტური**

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 121 | ავეში-ალვერკა | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 122 | კოვილია-ნავალი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 123 | ოვარენსე-შავეში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 124 | რიუ ავე-ფარენსე | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 125 | მარკუ-სალგეიროში | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 126 | ლეცა-ამადორა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 127 | პენაფიელი-ლამაში | 1,05 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 19.00 | 128 | პორტიმონენსე-მაია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 129 | ფელგეირაში-მადეირა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXXIII ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 155 | ანდერლეხტი-ლუვენი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.00 | 156 | ლიერსი-ლოკერენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 23.00 | 157 | მუსკრონი-ვესტერლო | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 23.00 | 158 | შარლერუა-ბევერენი | 1,85 | 3,5 | 3,5 | 1,21 | 1,21 | 1,75 |
| 23.30 | 159 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 160 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 18.00 | 161 | გენტი-სტანდარდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

**პოლონეთი. XXVI ტური**

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 183 | ლეხი-გროცლინი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 184 | ვიძევი-ლეგია | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 20.00 | 185 | პოლონია-გურნიკი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 186 | გარბარნია-ზაგლებე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.00 | 187 | ამიკა-რუხი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 188 | კატოვიცე-ვისლა | 3,0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1,33 | 1,31 |

**თურქეთი. XXXII ტური**

**16 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 189 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 190 | სამსუნი-ადანა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 191 | ბურსა-ალთაი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 192 | გიოზთეფე-დენიზლი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 193 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 18.30 | 194 | დიარბაქირი-მალათია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 195 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.00 | 196 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVII ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 199 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 19.00 | 200 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 201 | მოზერუელი-აბერდინი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 202 | პარტიკი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**18 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | ჰართსი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 204 | აკადემისკი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 205 | ესბიერგი-კიოგე | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| 18.00 | 206 | მიდტიულანდი-ფარუმი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 207 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 208 | კოპენჰაგენი-ვიბორგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 209 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| 20.35 | 210 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ავსტრია. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 211 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 212 | რიდი-გრაცერი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 213 | შტურმი-ბრეგენცი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 214 | ადმირა-პაშინგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 215 | ავსტრია-რაპიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. XI ტური** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 216 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 217 | სერვეტი-ვილი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19.15 | 218 | თუნი-ციურიხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.15 | 219 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. XI ტური** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 220 | სტ.გალენი-ვადუცი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 221 | კრიენსი-ლუცერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 222 | დელემონი-სიონი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 223 | კონკორდია-ვოლენი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 20.30 | 224 | ვინტერთური-შაფჰაუზენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 225 | ივერდონი-ლოზანა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 226 | ბელინცონა-ბადენი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ფინეთი. I ტური** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 258 | ჰიკ-იოკერიტი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.30 | 259 | ჰამეენლინა-კუოპიო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 260 | ინტერი-ტურკუ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 261 | ვასი-იარო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.30 | 262 | კტპ-მიუპა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 20.30 | 263 | ლაჰტი-ალიანსი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 264 | ტამპერე-ჰაკა | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **ინგლისი. თასი. ფინალი. (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 275 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ფინალი. (პარიზში)** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 276 | მონაკო-სოშო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 277 | პაოკ-არისი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 05.40 | 286 | პაისანდუ-ბოკა ხუნიორსი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული პუნქტის სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური უნივერმაღი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ქრისტეფორე სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | ნუცუბიძის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერეთის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | ნიჩბისის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ა კორპუსი

**კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



შოთა ხაბარელი

# ისევ მაისი და დიუსელდორფი

***16-დან 19 მაისამდე დიუსელდორფში გაიმართება ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში. ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს გამგზავრებამდე რამდენიმე კითხვით მივმართეთ***

**— ახლახან დაბრუნდით ლიკანიდან. კმაყოფილი ხართ მომზადებით?**

— შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კარგად მომზადებული გუნდი დიდი ხანია, არ გვყოლია. შეკრებები სამ ეტაპად გავიარეთ — ლიკანში, ბაკურიანში და ისევ ლიკანში. მოსამზადებლად ყველანაირი პირობები გვქონდა. ლიკანში სამთავრობო პანსიონატში ვემზადებოდით, ბაკურიანში კი კვება კიდევ უფრო უკეთესი იყო.

**— დიუსელდორფში რას გეგმავთ?**

— შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას შევეცდებით. შარშან 3 მედალი ავიღეთ. წლეულს, გითხარით, უკეთ ვართ მომზადებული და ალბათ შედეგიც უკეთესი იქნება.

**— ყველაზე მეტად ვისი გეიმედებათ?**

— ვერავის გამოვყოფ. მინდია ბოდაველი 81 კილოგრამში და ზვიად ხანჯალიაშვილი მძიმეწონოსანი შედარებით გამოუცდელები არიან. დანარჩენები ყველანაირ ტურნირებსა და ორთაბრძოლებში გამობრძმედილი სპორტსმენები არიან.

**— ზურაბ ზვიადაურმა შარშან დაიწყო დიდებში გამოსვლა და უმალვე მსოფლიოს თასის გამარჯვებული გახდა...**

— ზვიადაური მოვლენად ითვლება თანამედროვე ძიუდოში, მაგრამ ჩვენ სხვების იმედიც გვაქვს. წლეულს უკვე ორ-ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგეს ნესტორ ხერგიანმა და დათო მარგოშვილმა. თუ ვინმეს გამოვარჩევ, ისევ მარგოშვილს. ძალიან ნიჭიერი ბიჭია. წლეულს ივერი ჯიქურაული და დათო ქევხიშვილიც კარგად ასპარეზობენ. საერთოდ, ძიუდოში ფავორიტებზე საუბარი ძალიან ძნელია. ერთი შეცდომაც კი ძვირად ფასობს და თითოეული ბრძოლისთვის მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო.

**— აბსოლუტურ წონაში ჩოჩიშვილსა და დავითაშვილს შორის დიდი კონკურენცია იყო. დავითაშვილმა ტრავმა მიიღო და დიუსელდორფში რამაზ ჩოჩიშვილი იჭიდავებს. რამდენად სერიოზულია დავითაშვილის ტრავმა და თუ შეძლებს სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლას?**

— დავითაშვილს კუნთი გაუწყდა, სერიოზული ტრავმაა. ოლიმპიადას რაც შეეხება, იქ 100 კილოზე ზევით მხოლოდ ერთი წონაა და ჯერჯერობით ყველაზე მეტი სალიცენზიო ქულა ზვიად ხანჯალიაშვილს აქვს. მიუხედავად ასაკისა, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ათენში გამოსვლის ყველაზე რეალური კანდიდატი ხანჯალიაშვილი იქნება.

**— რა ინფორმაცია გაქვთ მეტოქეებზე?**

— ძიუდო ევროპაში ძალიან განვითარდა. ცალკეულ წონებში ძლიერი სპორტსმენები ისეთი ძიუდოსთვის არატრადიციულ ქვეყნებსაც კი ჰყავთ, როგორებიცაა ნორვეგია, იტალია, ესპანეთი და ბალტიისპირა ქვეყნები. არაფერს ვამბობ რუსებზე, ჰოლანდიელებსა და ფრანგებზე.

**— საქართველოს ნაკრები ევროპის გუნდური ჩემპიონია. შევძლებთ მიღწეულის შენარჩუნებას? რომელი გუნდები გესახებათ ჩვენს უმთავრეს მეტოქეებად?**

— დიუსელდორფის ჩემპიონატი მხოლოდ ოთხ საუკეთესო ნაკრებს გამოავლენს. ევროპის ჩემპიონის ვინაობა დეკემბერში ინგლისში, რაღაც შოუსავით გამართულ ტურნირზე გამოვლინდება. რა თქმა უნდა, ჯობდა, ფინალური ასპარეზობა დიუსელდორფშივე ჩატარებულიყო. ჩვენს პირობებში ძალიან გაჭირდება ნაკრების ისევე კარგად მომზადება, როგორც ახლა. ჩვენ ჩვენსას მაინც შევეცდებით.

მთავარი მოწინააღმდეგეები კი, ტრადიციულად, რუსეთი და საფრანგეთი იქნებიან.

**— დიუსელდორფი მაისში ქართველებს კარგად გვაქვს დაცდილი...**

— ღმერთმა ქნას...

**შოთა ძოპალეიშვილი**



*საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები მესამედაა გამოცდის ზღურბლზე. მას 1985 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის საგზური ჯიბეში უდევს და საბრძოლველად ემზადება. თუ როგორ ემზადება, ამის გასარკვევად თბილისში, „ლაგუნა ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში მოვარჯიშე გუნდს ვეწვიეთ.*

*ვამბობთ, საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებიო, თორემ ეს გუნდი სწორედ „ლაგუნა ვერეს" ბაზაზე დაკომპლექტებული ნაკრებია. თანაც, მისი წევრები 85 წელს დაბადებულები კი არა, 2 წლით უმცროსები არიან. ასე რომ, მათ უფროსებთან ჭიდილში მოიპოვეს ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის საგზური.*

*შევახსენებთ, რომ ეს მოხდა ამ ოცი დღის წინათ შტუტგარტში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე, სადაც ჯერ რუმინელებს სძლიეს (9:8), მერე ბელარუსებს (11:3), ბოლოს კი გერმანელებთან თავად დამარცხდნენ (8:9)*

# რა ნიჭიერი თაობაა და...

## რა ჭირს და, ფულადი სახსრების ქრონიკული ანთება



სოსო მაისურაძე: თაობა არის, ფული არა

— გამარჯვება გერმანელებთანაც შეიძლებოდა და დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ მათთან შეხვედრამდე ფინალურ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობა უკვე გარკვეული იყო — იხსენებს ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე — ფინალური ეტაპის საგზურები ჩვენც და გერმანელებსაც უკვე ჯიბეში გვედო. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენმა ბიჭებმა, ეტყობა, ბრძოლის სტიმული დაკარგეს და მოუნდომებელი თამაშით მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ.

ეგეც არ იყოს, გერმანელებს, როგორც მასპინძლებს, მსაჯები ეხმარებოდნენ. ეგ კი არა, კულისებს მიღმა შევიტყვე რომ ფინალურ ეტაპზე გერმანელთა გასვლა წინასწარ გადაწყვეტილი იყო და მათთან ერთად რუმინელებისაც. რუმინელებთან შეხვედრაში 14-ჯერ გაგვიგდეს მოთამაშე და ორჯერ პენალტიც დაგვინიშნეს, თუმცა, მაინც ვერას გახდნენ.

ახლა ამ ყოველივეს იმიტომ ვიხსენებ, რომ სტამბოლში 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე გასამართ ფინალურ ეტაპზე ჩვენ და გერმანია ისევ ერთ ჯგუფში მოვხვდით. თუ ამ ბრძოლებისთვის ხელს შეგვიწყობენ, გერმანელებთან რევანშს ავიღებთ, მაგრამ დრო მიდის, ჩვენი მომხედავი კი არავინ ჩანს.

**— მოხედვაში რას გულისხმობთ?**

— მოსამზადებლად თანხის გამონახვას, მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა სტამბოლში გასამგზავრებელი სახსრებიც არ ჩანს.

**— სახსრები რომ გამოჩნდეს, კონკრეტულად რაში მოიხმარდით?**

— სულ ცოტა, გვჭირდება ერთი შეკრება საერთო ფიზიკური მომზადებისთვის, ორ ტურნირში მონაწილეობა, რათა 10 თამაში მაინც დაგვიგროვდეს და ერთიც წინასაშეჯიბრო შეკრება. ახლა, უსახსროდ დარჩენილებმა იქნებ საერთო ფიზიკურ მომზადებაში შეკრება ბაკურიანში მშობლების ხარჯზე გავიაროთ, მაგრამ მათი ჯიბე უძირო ხომ არ არის, რომ დანარჩენსაც გასწვდეს. ვიფიქრეთ, ერთი ტურნირისთვის იქნებ თბილისში გვემასპინძლაო, მაგრამ არც ეს საქმე გამოდის. შარშან ერთი სათბილისო ტურნირი ფილას კალენდარში შევატანინეთ. ისრაელის, რუმინეთისა და სხვათა გუნდებს ვიწვევდით, მაგრამ ყველამ უარი შემოგვითვალა, თქვენთან ყაჩაღობენ და ხალხს იტაცებენო.

**— და ამ დროს სხვები როგორ ემზადებიან?**

— სლოვაკეთი, მაგალითად, რომელიც ასევე ჩვენს D ჯგუფშია, რვაგუნდიან ტურნირს მასპინძლობს და სამ გასვლით ტურნირსაც გეგმავს. ასევეა გერმანიაც, რომ აღარაფერი ვთქვა ჩვენი ჯგუფის მეოთხე წევრ ხორვატიაზე.

**— უკრაინის უფროსთა ჩემპიონატის ფინალურ ოთხეულში რომ მოხვდით, მერე რატომ აღარ იასპარეზეთ?**

— შტუტგარტიდან მომავლებს გვინდოდა გზად კიევში გამოგვევლო და ფინალში გვეასპარეზა, რაც ხარჯებს შეგვიმცირებდა, მაგრამ ეს შეჯიბრება ორი დღის დაწყებული იყო. მანამდე უკრაინელებს ფინალის ორი დღით გადადება ვთხოვეთ, მაგრამ ამ საქმისგან აღარაფერი გამოვიდა.

**— იქნებ სახსრების გამონახვით თავს იმიტომ არავინ იწუხებს რომ ფიქრობენ, ჩვენი ბიჭები ფინალურ ეტაპზე ისევ ისეთი დიდი ანგარიშებით დამარცხდებიან, როგორც ეს შარშან და 2000 წელსაც იყო...**

— ეს აღარ განმეორდება, თუ სულ ოდნავი ხელშეწყობა მაინც იქნება. თავად განსაჯეთ, ჩვენ მომავალ მეტოქე გერმანიასთან თანაბრად ვითამაშეთ და, როგორც ვთქვი, გამარჯვება შეგვეძლო. სლოვაკეთიც ასეთივე დონის გუნდია. ამასთან, წინა წლებში ჩვენი გუნდის წევრებსა და მათ მეტოქეთა შორის ასაკში დიდი სხვაობა იყო, რაც ახლა შემცირდა. ამას გარდა, ახლა ჩვენი გუნდის წევრები თამაზ მანძულაშვილი და კოტე გეგელაშვილი მოსკოვის „დინამოში" თამაშობენ, ცსკა-ში არიან ზურაბ ჭუმბურიძე და მიხეილ ალხაზოვი; შემოდგომიდან მოსკოვის „დინამოში" გამოვლენ მიხეილ ბაღათურია და ზურაბ რურუა. ასე რომ, მათი წყალობითა და სხვათა მონდომებით ფინალურ ეტაპზე ჩვენი ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამდენი ნიჭიერი წყალბურთელი ერთად მრავალი წელია არ გვყოლია.

**— სპეციალისტები ამბობენ, ჩვენს წყალბურთელებს 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაც შეუძლიათო.**

— ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია. თუ წინა თაობის ლეგიონერებს შევკრებთ და მათ ამ თაობის ბიჭებსაც დავუმატებთ, საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გამოგვივა.

**— ამბობენ, იმ ლეგიონერებიდან რუსეთის ნაკრების ლიდერის რევაზ ჩომახიძის იმედიც გვაქვსო, მაგრამ ის ხომ საქართველოს მოქალაქე აღარ არის?**

— ეგ რა პრობლემაა, არ არის და ისევ გახდება. თავად ჩომახიძესაც არაერთხელ უთქვამს, თქვენ ოღონდ საქართველოს ნაკრები ჩამოაყალიბეთ და სიხარულით ჩამოვალ, მით უმეტეს, რუსეთის ნაკრებში ყველანაირი მედალი უკვე მოპოვებული მაქვსო.



**ავთანდილ ჭყვიშელი**

## NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# ანგელოზებმა ლოქის შეშვერა არ იციან, მეფეებს კი გულშიხვობა დუპავთ


REUTERS სან ანტონიოდან

ფილ ჯექსონმა იცის, როგორ მოიგოს

13 მაისი

### დასავლეთი

### დალასი 3:2 საკრამენტო

### დალასი 112:93 საკრამენტო

**დალასი: ნეში (25), ფინლი (16), ბელი (13), ნოვიცკი (16 ქულა, 15 მოხსნა, 9 პასი), ლაფრენცი (14); ვან ექსელი (18), ნახერა (8), ბრედლი (2), უილიამსი, ეშმეიერი**

**საკრამენტო: ბიბი (13), კრისტი (21), სტოიაკოვიჩი (19), თურქოღლუ (3), დივაცი (5); ბ. ჯექსონი (14), ჯ. ჯექსონი (9), კლერკი (5), პოლარდი (4), ვოლესი, ფანდერბურკი**

საკრამენტოელებმა ინამუსეს და 13 მაისის მარცხი კრის ვებერის ტრავმას არ გადააბრალეს. ვებერი არაფერ შუაშია, „კინგზს" მის გარეშეც შეუძლია მოგება და მაგალითისთვის ისტორიის ჩხრეკაც არაა საჭირო, ორი დღის წინ „საკრამენტომ" 99:83 დაამარცხა „დალასი", ახლაც ვებერის გარეშე ამარცხებდა. „კინგზი" პირველ ტაიმში სავსებით კომფორტულად გრძნობდა თავს და დიდ შესვენებაზეც შვიდქულიანი უპირატესობით წავიდა. „მეფეებს" ყველაფერი გეგმაზომიერად მისდიოდათ, გამართულად მუშაობდა დირკ ნოვიცკის გამანეიტრალებელი მექანიზმი, ხოლო დალასელთა მეორე მოისხანეს, მაიკლ ფინლის ღუგ კრისტიც აუდიოდა. მართალია, სტივ ნეში და მისი შემცვლელი ნიკ ვან ექსელი ბორგავდნენ, მაგრამ მთლიანობაში ეს მაინც „საკრამენტოს" თამაში იყო.

„დალასის" მშველელი მოედანზე იმ კარიდან შემოვიდა, საიდანაც მასპინძლები ყველაზე ნაკლებ იხედებოდნენ. „მავერიკსი" არც ნოვიცკის, ფინლისა და ნეშს გადაურჩენია და არც ნიკ ვან ექსელს, ვიღაც რაჯა ბელმა ამოაყვინთა ჰაერზე. ეს ჯეელი შემთხვევათა დამთხვევით იმყოფებოდა მოედანზე მესამე მეოთხედში.

ბელმა თამაში სასტარტო ხუთეულში მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ძირითად ადრიან გრიფინს, თავადაც შეზღუდული შესაძლებლობების მსუბუქ თავდამსხმელს, ტრავმა ჰქონდა. რაჯა ბელი თავიდან მხოლოდ ხუთეულის შემავსებელი კაცის ფუნქციებს ასრულებდა — ბურთს მისცემდნენ, ისიც უბრუნებდა, მაგრამ მესამე მეოთხედში მასში მოულოდნელმა სათამაშო აგრესიამ იფეთქა და მთელი გუნდიც ააფეთქა, ისე, როგორც მეხამე თამაშის ოვერტაიმში გააკეთა „დალასის" სხვა სათადარიგომ, უოლტ უილიამსმა. მასპინძლებმა ერთი ამოსუნთქვით დაფარეს ჩამორჩენა და რაჯა ბელის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 63:63 გაათანაბრეს. და დაიწყო სტუმართა დაწიოკება. ბელმა იმ მეოთხედში კიდევ სამი ბურთი ჩააგდო და „მავერიკსმა" ერთი მონაკვეთი 15:4 მოუგო „კინგზს", შემდეგ კი უპირატესობა აღარ დაუკარგავს.

„საკრამენტო" კი ამ დალასური ექსპანსიისას გონზე მოსვლას ამაოდ ცდილობდა და მეტოქეზე თავდასხმის ნაცვლად ქაოტურად იხევდა უკან. „საკრამენტოს" ყველაფერი აქვს, რაც ჩემპიონობისთვის საჭიროა, მაგრამ მართლა დიდი გუნდი ვერ გახდება, სანამ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში დაუპატიჟებლად მოსულ ელდასთან გამკლავებას არ ისწავლის.

„მეფეები" დიახაც დაფრთხნენ, შეიძლება ითქვას, ერთგვარ პანიკაშიც ჩაცვივდნენ. ამ პანიკამ მათ გუშინწინ „დალასთან" ერთი თამაში წააგებინა, ხოლო შარშან დასავლეთის ფინალი „ლეიკერსთან" და მომავალში, ვინ იცის, სად შეარცხვენს.

ამ წაგების შემდეგ „საკრამენტომ" უკანდასახევი გზა მოიჭრა, „მეფეებს" აღარ შერჩენიათ შეცდომის შანსი და ახლა უნდა დაამტკიცონ, რომ მართლა ძლიერები არიან, ხოლო სანამ ამას დაამტკიცებენ, ეს ჯერ თავად უნდა ირწმუნონ.

### სან ანტონიო 3:2 ლეიკერსი

### სან ანტონიო 96:94 ლეიკერსი

**სან ანტონიო: პარკერი (21), ჯექსონი (12), ბოუენი (12), დანკანი (27 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (6); ჯინობილი (7), კლაქსტონი (7), როუზი (4)**

**ლეიკერსი: ფიშერი (8), ბრაიანტი (36), ჯორჯი (2), ჰორი (6), ონილი (20 ქულა, 12 მოხსნა); მედვედენკო (13), შოუ (5), პარგო (2), რაში (2), მადსენი**

ის, რის გამომუშავებასაც „საკრამენტო კინგზი" ცდილობს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" ჭარბად მოეძევება. ესაა გამარჯვებულის ფსიქოლოგია, მოგების უდიდესი წყურვილი და მარცხთან შეურიგებლობა. ნბა-ში, როგორც ყოველთვის, ახლაც მოიძევებიან გუნდები, რომლებიც კარგად თამაშობენ, „ლეიკერსი" კი ცუდად თამაშობს და მაინც იგებს, პირდაპირ დაგეშილია გამარჯვებებზე და გუშინწინა მარცხის მიუხედავად, მასზე აუგი არ დაგვცდება.

კი, ბატონო, შაკილ ონილი ვეღარ აზანზარებს წლევანდელ პლეიოფს, სანანტონიოელებიც ახერხებენ და 30 ქულაზე მეტს არ აგდებინებენ, სხვა მისიანებსაც ბევრს არ აპარპაშებენ (კობი ბრაიანტის გარდა), მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაუკლეს ფეხზე წამოდგომის სურვილი.

ამ შეხვედრაში „სან ანტონიო" 25 ქულით იგებდა. ეს ბუნებრივია, სადღეისოდ „სფურზი" უკეთესი გუნდია, მაგრამ ამხელა ფორის მიუხედავადაც, ანგარიშიდანაც ხედავთ, იოლად ვერ მოიგო. ჩემპიონებს ამ შეხვედრისთვის დაუბრუნდათ მათი მენტორი ფილ ჯექსონი, ვინაც „ლეიკერსის" ორი საწყისი მარცხის გამო მიკროინფარქტიც კი გადაიტანა. მისი ბიჭები ბოლომდე იბრძოდნენ, ეგაა, 25 ქულა ძალიან დიდი სხვაობა აღმოჩნდა მათთვის და სანამ მის ამოსალებად დრო მიდიოდა (სათქმელად რა ადვილია, არა?), „სან ანტონიო" ბოლოს და ბოლოს გამოფხიზლდა. „სფურზის" ლიდერებმაც ლიდერობა გასწიეს. ბოლო წუთებში, როცა „ლეიკერსს" მასპინძლებთან სულ ოთხი ქულადა აშორებდა, სანანტონიოელთა ახალმა ლიდერმა ტიმ დანკანმა ზედ ფარიან დაუკიდა ბურთი ძველ ლიდერ დევიდ რობინსონს და „ადმირალმაც" ჰაერში მოხელთებული ბურთი მოხდენილად ჩაუტენა სტუმრებს. ამ ეპიზოდმა ნიშანდურივით იმოქმედა მასპინძლებზე. სანანტონიოელებს უცებ დაუბრუნდათ ფერი და „ლეიკერსის" მოძალების შეჩერება თუ ვერა, თამაშის გამარჯვებამდე მითრევა მაინც მოახერხეს.

სანანტონიოელები მაინც მაგრად იყვნენ დაფეთებულები. ლოსანჯელესელებმა მაინც შეძლეს თამაშის ბოლო სროლაზე მიყენება. ბოლო სროლა რობერტ ჰორიმ შეასრულა, რომელსაც ასეთი ბურთი არაერთი ჩაუგდია. გასახსენებლად შარშან „საკრამენტოს" მეოთხე თამაშში ჩაგდებულიც გამოდგება. „როცა ჰორიმ ისროლა, იმწამსვე „საკრამენტოსთან" ჩაგდებული გამახსენდა, ვინატრე, ნეტავ, არ ჩავარდეს მეთქი" — ამბობდა ნამატჩევს დევიდ რობინსონი. რას ინატრებს „ადმირალი" მომდევნო თამაშისთვის? ცხადია, გამარჯვებას. აი, ფილ ჯექსონი კი, დარწმუნებული ვარ, არ ოცნებობს გამარჯვებებზე. ის ყველაფერს აკეთებს გამარჯვებისთვის და შემდეგ, როცა მიზანს აღწევს, ჭადარა წვერ-ულვაშში იღიმება. ოცნებით სხვებმა იოცნებონ.

**ირაკლი ფირაშვილი**


REUTERS დალასიდან

სანამ შუშს არ განაგდებენ, საკრამენტოელები კიდევ ბევრჯერ ჩახრიან თავს



## ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი



რობი მაკიუენი

# იტალიურ ოჯახს ოზმა აურია

**ბოლო ექვსი წელია,** უპრესტიჟულესმა ჯირო დიტალიამ შიდაიტალიური ველორბოლის სახე მიიღო, რაკი ამ ხნის მანძილზე მისი გამარჯვებულები სულ იტალიელები ხდებიან. ბოლოდროინდელი ეს ტრადიციადქცეული ერთფეროვნება ახლა დაირღვეს. მართალია, მეოთხე ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლას იტალიური შვიდეული უდგას სათავეში, მაგრამ მათ ნელ-ნელა წამოეპარა ავსტრალიელი რობი მაკიუენი, რომელმაც წლევანდელი ტური სკანდალურად დაიწყო, მაგრამ თავის თავში გამარჯვებულის რწმენა იპოვა და მეოთხე ეტაპის საფინიშო სპურტი საერთო ჩათვლის ლიდერს, იტალიელ ალესანდრო პეტაჩის ეფექტურად მოუგო.

მანამდე მაკიუენმა შეძლო მეორე ეტაპის მოგებაც, მაგრამ ფაბიო ბალდატოს ლამის კედელზე მინარცხებისთვის ავსტრალიელს ყველა ჩასათვლელი ქულა ჩამოერთვა და ეტაპის გამარჯვებულად ბალდატო გამოცხადდა.

ამჯერზე მაკიუენმა ყველა წესის დაცვით გაიმარჯვა. ეტაპის გამარჯვებულის გამოვლენას კი ფოტოფინიში დასჭირდა. საქმე ასე იყო: ფინიშამდე 200 მეტრი რჩებოდა, როცა მაკიუენმა და პეტაჩიმ პელოტონი უკან მოიტოვეს და ერთი ერთზე გააჩაღეს პედლაობა. პეტაჩი ავსტრალიელზე ოდნავ წინ იყო, მაკიუენი კი მოხერხებულ დროს ელოდებოდა. ფინიშამდე 50 მეტრით რჩებოდა, ორივე მრბოლი ოდნავ დაღმართს რომ დაადგა. მაკიუენმა დრო იხელთა და ფეხის კუნთები და ველო ააჩქარა. ავსტრალიელი წინ გაჭრილ იტალიელს წამოეწია და ფინიში ორივემ ლამის ერთად გადაკვეთა, თუმც ფოტოფინიშმაც დაადასტურა, რომ მაკიუენმა პეტაჩის ერთეული სანტიმეტრებით გაასწრო.

„მხოლოდ ის მახსოვს, რომ თვალები დავხუჭე და პედლებს სულ უფრო და უფრო სწრაფად ვატრიალებდი. ძალიან გახარებული ვარ. არც კი ვიცი, რა გითხრათ" — მაკიუენი რბოლის შემდეგ ქოშინებდა.

„რაც მომივიდა, სულ ჩემი ბრალია. ნაღდად არ მეგონა, რომ მაკიუენი მალებს იპოვიდა საბოლოო აჩქარებისთვის. მან ტაქტიკურად მომიგო" — ეს კი პეტაჩის კომენტარია.

დამარცხებული იტალიელი მაინცდამაინც არ უნდა დაალონოს მეორე ადგილმა, რაკი საერთო ჩათვლაში მან კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა უახლოეს მდევარ სტეფანო გარძელისთან. ახლა მათ შორის სხვაობა 29 წამია.

ერთიც. მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი მარიო ჩიპოლინისთვის მეოთხე ეტაპი კატასტროფული აღმოჩნდა. დიდი ველომრბოლი მთელი 1 საათით და 10 წუთით ჩამორჩა ლიდერს და რბოლა პელოტონის ბოლოში დაასრულა. თუმც ჩიპოლინი უფრო სამთო მრბოლია, ვიდრე ტრასის და მისი დროც ტურის ბოლო ეტაპებისას დადგება.

ცნობისთვის: ჩიპოლინის ერთადერთი ეტაპის მოგებაღა აკლია, ალფრედო ბინდასის დღემდე ხელუხლებელი რეკორდი რომ გაიმეოროს. ბინდასმა ჯიროს 41 ეტაპის მოგება შეძლო.

**ბაჩო სვანიძე**

### ტექნიკური შედეგები

**IV ეტაპი. 13 მაისი**
**ასკოლი პიჩენა — ვალენტია 170 კმ**

**1 რობი მაკიუენი (ავსტრალია, ლოტო დომო) 4სთ 00წთ 25წმ**
**2 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო)**
**3 ბერნარდ ეიზელი (ავსტრია, ფდეჟუქს. კომ)**

### საერთო ჩათვლა

**1 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) 17 სთ 37წთ 21წმ**
**2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) -29წმ**
**3 ფრანცისკო კასაგრანდე (იტალია, ლამპრე) -39წმ**

# მოდით, ვნახოთ ჰიუიტი, ჟანგმა ვერ ჭამა ჰიუიტი




REUTERS

**TENNIS MASTERS HAMBURG**
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

### პირველი წრე

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მარკუს ჰანჩკი (გერმანია) 6:1, 4:6, 6:4; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:3, 5:7, 6:3; როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 6:3; ენდი როდიკი (4, აშშ) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; ალბერტ კოსტა (5, ესპანეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:4; მიხაილ იუჟნი (გერმანია) — ირჟი ნოვაკი (6, ჩეხეთი) 6:1, 6:4; დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ჟან-რენ ლინარი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; რაინერ შიუტლერი (9, გერმანია) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 7:5, 6:1; სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:3, 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — ალექს კორეჩა (13, ესპანეთი) 7:6 (7:3), 4:6, 6:3; ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:2, 2:6, 7:5; ფელიძს მანტია (ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4, 7:5; ანთონი დიუპუი (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:3**

კაცთა ამქრის კისკას პირველმეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტს უკვე ორი თვე იყო, ჩოგანი აღარ გაენძრია. მაღლიერ მკითხველს ეხსომება — 19-გზის მეტიტულე 22 წლის ავსტრალიელმა ბოლოჯერ მაიამურ დიდბობოლა ტურნირზე იჩოგნავა, რომლის მეორე წრეშიც უსახელო ესპანელ ფრანსისკო კლავეტს დაეჩაგვრინა.

მას შემდეგ ბევრმა რამემ ჩაიარა და ჩოგბურთის ტრფიალთ დასტურ მოენატრათ კაცთა უსხარტესი და უგაუტეხელესი ლიდერის ჩაუქობათა ცქერა.

ოლონდაც ეგ არის, ორთვიანმა უქმობამ ჰიუიტს თავისი ჟანგიანი დაღი დააჩნია. ამას ისიც დავამატოთ, რომ ოზბიჭს წლეულს არსად უთიხნარია და უმალ მივხვდებით, თუ რატომ გაუჭირდა მას იმ დღეს უსახელოზე უსახელო გერმანელის, ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბუღრაობის შემდეგ მოხვედრილი მარკუს ჰანჩკის ძლევა.



REUTERS

სერენა უილიამსი

ეს ჰანჩკი მსოფლიო კლასიფიკაციის ოდენ 210-ეადგილოსანია, მაგრამ იმ დღეს რაღაც უცხო მუზა ეწვია თუ უბრალოდ 15-ათასიანმა ჰამბურგულმა ლიანგმა გადარია, ამქრის უსტაბაშს უფიცხელესი და ტოლსწორი პაექრობა გაუჩაღა.

თუმცა კინაღამ არ ითვლება. ჰიუიტმა უეცრად მოყინჩებული მეტოქე მაინც მოდრიკა და ეს აფერუმი განდაგანაც რიგიან სპარინგშეხურებად შეირგო.

ასევე სამსეტიანი ომის გადახდა მოუხდა ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ კარლოს მოიას, ვისაც ჰიუიტის უსახელოვე თვისტომი სკოტ დრეიპერი გაუძალიანდა.

26 წლის ესპანელი მეორე წრეში 10 წლით უმცროს თანამალიორკელ რაფაელ ნადალს შეხვდება. ეს შეხლა მეორე წრის ყველაზე სენტიმენტალურ და ნიშნობრივ ამბად უნდა წარმოგვიდგეს.

ამასობაში კვლავ გაილაღა შარშანდელმა ჩემპიონმა და წლეულს უკვე სამი ტიტულის მომნაგვრელმა როჯერ ფედერერმა. ზორბა ალპელს იმ დღეს თანამეწყვილე, ახმახი ბელარუსი „მხეცი“ მაქს მირნი შემოემარცხა.

სტატისტიკა გვამცნობს, რომ ეს მათი მეექვსე შეპირისპირება იყო და წლევანდელი მარსელის, დუბაისა და მიუნხენის ჩემპიონი ბელარუსს უკვე მეოთხედ მოერია.

მეორე წრეში გავიდა მეოთხე ნომრად განთესილი ამერიკელი ენდი როდიკიც. წინა დღეს ხუთი მეჩოგნის დამკარგველი ამერიკელები ჰამბურგულ მასტერსტურნირზე მას უკანასკნელ იმედად მოიძევენ და მის მიერ ხორვატი ივან ლიუბიჩიჩის ძლევაც ამიტომ ერთობ საამო ამბად დაურჩათ.

თავად როდიკმა ნამატჩევს თქვა, რომ ევროთიხნარზე მეტად მასა და მის თანამემამულეებს ევროამინდი აწუხებთ. „შარშან ამ დროს ხვატი და პაპანაქება იყო — ამბობდა ენდიბოი — ახლა კი კაცი ვერ გაიგებს, ცხელა თუ ცივა.“

მოკლედ — თუკი როდიკი ისევ ადრეეტაპზე ჩაფლავდება (როგორც რომაულ მასტერსტურნირზე მოხდა), ყველაფერი იქაურ ამინდის ბიუროს დაბრალდება.

არადა, საქმეში ჩახედული ხალხი როგორლაც ვერ იხსენებს, პიტ სამპრასსა ან ანდრე აგასის მათი ბითური წაფორხილებანი კორტზე მომდგარი ყომრალი ღრუბლებისა თუ ახურებული ჰაერისთვის დაებრალებინოთ...

იმარჯვა შარშანდელმა მეროლანგაროსემა და ტურნირის 1998 წლის ჩემპიონმა (და მაშინ ჰამბურგის ნაცვლად ტურნირი როთენბაუმში იმართებოდა) ალბერტ კოსტამ. მან ადგილობრივ პუბლიკას ნიკოლას კიფერი მოუსაკლისა.

სანაცვლოდ გერმანელები კვლავ გაახარა წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა და წლეულს ძალზედ არა ისე-რად მობურთავე რაინერ შიუტლერმა, ვინაც 21 წლის ესპანელ დავიდ ფერერს აჯობა.

დღის სენსაციათა ვაკანსიები კი მიხაილ იუჟნის მიერ მეექვსე ნომრად განთესილი ირჟი ნოვაკისა და ქსავიე მალისის მიერ მეცამეტე ნომრად განთესილი ალექს კორეჩას გაფაიზალებებმა შეავსო.

არც ერთ ამ გაფაიზალებათაგანს გაკვირვება არ გამოუწვევია — კორეჩაცა და ნოვაკიც წლეულს ძალზედ ფინაჩად და საპენსიოდ ირჯებიან.

**TELECOM ITALIA MASTERS**
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

### პირველი წრე

**მონიკა სელეში (10, აშშ) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 4:6, 6:2, 6:3; მაგდალენა მალეევა (11, ბულგარეთი) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 6:4, 6:4; ელენი დანილიდუ (12, საბერძნეთი) — სამანტა რივზი (აშშ) 6:2, 6:4; აი სუგიამა (13, იაპონია) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:2, 6:3; ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:1, 6:1; მაგი სერნა (ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 4:6, 6:2, 6:0; მაია მატევჟიჩი (სლოვენია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:3, 3:6, 6:3; დინარა საფინა (რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:1, 3:6, 7:5; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:4; სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:3, 6:2**

### მეორე წრე

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; ემილი ლუა (საფრანგეთი) — ჩანდა რუბინი (6, აშშ) 6:2, 1:6, 6:3; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ამანდა კუცერი (14, სამხრეთ აფრიკა) 2:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:4)**

ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა სერენა უილიამსმა წლეულს 24-ე შეხვედრა გამართა და 23-ე გამარჯვება მიითვალა. ალბათ ვერავინ იტყვის, რომ სერენას ეს ძალიან დამაჯერებლად გამოუვიდა — ჩეხი კლარა კუკალოვა მას ნამეტანი ჯიგრიანად ედავა. მაგრამ სერენას წლეულს მხოლოდ მდედრიონის მეოთხმეჩოგნე ჟუსტინ ენენ-არდენთან წაუგია და თუკი წაფორხილებას კიდევ „გადაწყვეტს“, ამ წაფორხილების პატივი კუკალოვასნაირ ფინაჩს ნაღდად არ ერგება.

სხვაფრივ — მეტისმეტად მისჭირდა იმ დღეს ასევე მეათე ნომრად განთესილ მონიკა სელეშს. ყველა დროის ვერშემდგარი პირველმეჩოგნე და ტურნირის 1990 და 2000 წლების ჩემპიონი ბუთხუზა შვეიცარიელმა მირიამ კაზანოვამ გააწვალა.

დღის ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი მეექვსე ნომრად განთესილი ჩანდა რუბინის ძლევა გამოდგა. ჩია ჩანდა მსოფლიო კლასიფიკაციის 53-ე საფეხურზე მდგომი ასევე ჩია ფრანგ ემილი ლუას ემსხვერპლა. ლუა წინა ექვსი ტურნირიდან ხუთში პირველსავე წრეებში დაიჩოგნა, ამ ჯერზე კი ძირითად ბადეში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ჟუსტინ ენენ-არდენმა რომში ჩასვლა იუარა.

დანარჩენ ამბებს კი ზემორე ანგარიშებიდან შეიტყობთ. ჰო, მართლა: რომ არ დაგვავიწყდეს, ბარემ ამასაც გეტყვით — რომში ნაპირველარი ქალი ჯილდოს გარდა 189-ათასდოლარიან ჩეკსაც ჩაიდეკოლტევებს.

**ლევან ძელაურაძე**



**NHL სტენლის თასი**
**კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე**

# იხმარეთ ეშმაკობა, ნუ გაალიზიანებთ ეშმაკებს

13 მაისი

### აღმოსავლეთი
### ოტავა 1:1 ნიუ ჯერსი

**ოტავა 1:4 ნიუ ჯერსი**

**0:1 ალბელონი (15), 0:2 ფრიზენი (18), 1:2 ბონკი (23), 1:3 მედენი (37), 1:4 პანდოლფო (55)**

ზოგჯერ მეტოქის ქება-დიდებაც დადებითად მოქმედებს ოპონენტ გუნდზე, მოდი და ნუ გაღიზიანდები. პირველი მატჩის შემდეგ ჩრდილოამერიკული მასმედია ქათინაურებს არ იშურებდა ოტავასადმი. კანადური კლუბის ცოცხალმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ბევრი ფიქრობდა, რომ სერიის ბედს იგი მალე თავის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. ჰოდა, მთელმა ამ აჟიოტაჟმა ძალიან გააცხარა „ეშმაკები“ და მათ საუკეთესო თამაში აჩვენეს.

„დღეს მეტოქეს კი არ მოვუგეთ, პანღური ამოგვარტყა. დასაწყისიდანვე რაღაც ღრმა ძილს მივეცით თავი და ღრთა, საბოლოოდ გამოვფხიზლდით“ — თქვა მატჩის შემდეგ ოტაველთა ფორვარდმა ბრაიან სმოლინსკიმ და მართალიცაა. სანამ მასპინძლების მრისხანე მანქანა იძოქებოდა, „ეშმაკებმა“ უმალ მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა. ჯერ ვეტერანმა ტომი ალბელინმა (მან წინა თამაში გამოტოვა) ისე დაარტყა, რომ შაიბამ ყველა წინაღობას აუარა გვერდი. ამ მომენტში ოტაველთა მეკარე პატრიკ ლალიმს თავისი და მეტოქის მოთამაშეები ეფარებოდნენ და რეაგირება ვერ მოასწრო. შემდეგ ჯეფ ფრიზენმა სწრაფი გარღვევა დაბალ კუთხეში დარტყმით დაასრულა. წინა მატჩის პირველ პერიოდში ოტავამ მოახერხა ორშაიბიანი უპირატესობის მოპოვება, მაგრამ შემდეგ ნიუ ჯერსიმ შეძლო, მატჩისთვის ინტრიგა დაებრუნებინა. ამჯერადაც თითქოს აქეთკენ წავიდა საქმე. მეორე პერიოდის დასაწყისშივე რადეკ ბონკმა გაქვითა და ამის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ „ეშმაკთა“ მეკარე მარტინ ბროდომ გადამწყვეტ წუთებში ივაჟკაცა. პერიოდის მიწურულს კი ჯონ მედენმა ერთ-ერთ მეტოქეს სხარტად წაართვა შაიბა და უძლიერესი დარტყმით მესამედ აილო მასპინძელთა კარი. ამის შემდეგ ოტავა წელში ველარ გაიმართა.

„ეს იმის მანიშნებელია, რომ გამოცდილი გუნდი ვართ. როგორც ხედავთ, პანიკას არ ავყევით და ჩვენი საქმე გავაკეთეთ“ — თქვა ნიუჯერსელმა ჯო ნიუნდაიკმა.

არც ოტავას აფანცქალებია გული. როგორც სმოლინსკი ამბობს, მათ სულაც არ აწუხებთ ის ფაქტი, რომ ნიუ ჯერსის პლეი ოფში ჯერ შინ არ წაუგია (მომდევნო ორი მატჩი ისტ-რეზერფორდში, „ეშმაკთა“ ბინაზე გაიმართება). ჩვენ კვლავაც ფანტასტიკური გუნდი ვართო, ამბობს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

მარტინ ბროდოს ნიუ ჯერსიმ ტოდ ვაიტი და სხვა „სენატორები“ წაიგდეს




REUTERS ლონდონიდან

# სპორტული გავლა-გამოვლა

ლონდონში დიდი ხმაურით ჩაიარა „სპორტს ილუსტრეიტიდის“ საცურაო კოსტუმების ჩვენებამ. 1964 წლიდან მოყოლებული, ამერიკის ყველაზე პრესტიჟული სპორტული ჟურნალი ერთ საგანგებო ნომერს სწორედ საცურაოდ გამოწყობილ ლამაზმანებს უძღვნის ხოლმე. ეს ერთი მხრივ ახალ საცურაო მოდას წარმოაჩენს, მეორე მხრივ ლამაზმანებს. აი, ერთ-ერთიც, 24 წლის ჩეხი პეტრა ნემცოვა.

# თარიღი




REUTERS კატმანდუდან

ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში დიდი იუბილე იმართება — ევერესტის დაპყრობის 50 წლისთავია. იქ ორასამდე განთქმული ალპინისტი მოიყრის თავს, იმათ შორის კი პიტერ ჰილარიც იქნება, ვაჟი ავსტრალიელ ედმუნდ ჰილარისა, რომელმაც 1953 წლის 24 მაისს, შერპა თენსინგ ნორგეისთან ერთად პირველმა დალაშქრა ევერესტი, ჟურნალ „ნეშენალ ჯიოგრაფიკის“ ყდაზე სწორედ ედმუნდია გამოხატული. თავად პიტერს კი ორჯერ, 1990 და 2002 წლებში დაულაშქრავს ევერესტი.

# გოლიათი ვირუსის წინააღმდეგ

ამერიკული კალათბურთის ახალბედა, „ჰიუსტონ როკიტსში“ მოთამაშე 226 სანტიმეტრის სიმაღლის იაო მინგი, ახლა მშობლიურ ჩინეთშია. იქ გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს ატიპიური პნევმონიის (შემოკლებით „სარს“) წინააღმდეგ, რომელმაც 240 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. იაო მინგი ამ ბრძოლაში ჩაბმულა და ტელემარათონშიც მიუღია მონაწილეობა. ეს ტელემარათონი ფულის შესაგროვებელიც იყო და თან ინტერნეტში „სარსის“ წინააღმდეგ საბრძოლო ინფორმაციის გვერდების გამრეკლამებელიც. გოლიათიც სწორედ ინტერნეტს მიჯდომია.




REUTERS შანხაიდან

# მტყორცნელი




REUTERS მონრეალიდან

მონრეალის აკადემიის ჯილდო ამ კოხტა მსახიობ გოგოს, ჰოლი ბერის დაუმსახურებია. რახან ბეისბოლის სეზონი გახურებულია, უკეთესს რას მოიფიქრებდნენ: ბერი მონრეალის ოლიმპიურ სტადიონზე მიიწვიეს, იქაური „ექსპსისა“ და „ლოს ანჯელეს დოჯერსის“ თამაშის პირველი ბურთის სატყორცნად.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგილაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, შალვა ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge